# საქართველოს ქალი

დეკემბერი
№ 12 1969 წ.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ყრილობის პრეზიდიუმი

# საქართველოს კოლმეურნეთა



ძველი და ახალი თაობა — ვეტერანი კოლმეურნე სოფიო ბაზანდარაშვილი (გორის რაიონი), მახარაძის რაიონის სოფელ ასკანის ახალგაზრდა აგრონომი, სოციალისტური შრომის გმირი კლავდია ნაცვალაძე

F. 538
1969

ეროვნული ბიბლიოთეკა



სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ პავლეს ძე მჟავანაძე ყრილობის დელეგატებთან.

III ყრილობა 1969

30-31 ოქტომბერს თბილისში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, ჩატარდა საქართველოს სსრ კოლმეურნეთა III ყრილობა. ყრილობამ განიხილა საკოლმეურნეო წესდების ახალი პროექტი და აირჩია კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო III ყრილობის დელეგატები.

ამ დიდი ფორუმის შემადგენლობაში 800 დელეგატიდან 255 ქალი იყო — ჩვენი ბაღ-ვენახების, ველ-მინდვრების, პლანტაციების ხელმადლიანი ოსტატები, ფერმების სახელოვანი დიასახლისები; შრომის წარჩინებულნი და ვეტერანები, ოქროს ვარსკვლავებით, ორდენებით, მედლებით მკერდდამშვენებული ჩვენი საამაყო ქალები და ქალიშვილები.

# ქალთა ყრილობა

კ. მარქსის სახ. საქ. სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა თბილისი

ყრილობის დელეგატ ქალთა ერთი ჯგუფი





„ჩემო სამშობლო მხარეო“

# გორელმა კაცმა იშრომა, შრომამ კი მოუტანა.

ხილი

ულამაზესია მაღლობზე გაშლილი სოფელი მერეთი. მაცოცხლებელია მისი წყარო და ჰაერი. მერეთი აგარაკია. ზაფხულობით სოფელში იხსნება საკოლმეურნეობათაშორისო პიონერთა ბანაკი. აქაურ ბავშვებს ლოყები წითლად უღვივით.

მაგრამ განსაკუთრებით თავმომწონეა მერეთი ხილით. შემოდგომაზე ეზოებიდან მზით დამწვარი ვაშლები იცქირება. სოფლის ხეხილის ბაღებთან საფლავია ამართული. ხილის პირველი ნაყოფი მერეთელებს ამ საფლავზე მოაქვთ. საფლავში წევს აქაური კაცი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა რაიონში მეხილეობას. ეს კაცი იასე ფურცელაძეა.

წინათ სად ჰქონდათ გლეხებს იმის საშუალება, რომ პატარა მიწის ნაკვეთზე ხეხილი გაეშენებინათ. ხილს მხოლოდ მებატონეთა ბაღებში ნახავდით. ასეთი ბაღი პირველად ქართლეთში გაუშენებია იქაურ ერისთავს XIX საუკუნის 50-იან წლებში. ნერგები საფრანგეთიდან გამოუწერია. ოციოდე წლის შემდეგ მერეთელ იასე ფურცელაძეს 7 ჰექტარზე დაურგავს ხეხილი. იასეს სანერგეც ჰქონდა, სადაც ძვირფასი ჯიშები გამოჰყავდა, ახლო-მახლო სოფლების გლეხებს ხეხილის მოვლა-პატრონობასაც ასწავლიდა და ნერგებსაც ურიგებდა.

1921 წელს იასე ფურცელაძის სურვილით მისი ბაღებისა და სანერგის ბაზაზე „სამტრესტის“ მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა დაარსდა. იგი ხეხილის ნერგებით ამარაგებდა როგორც ქართლის სოფლებს, ასევე სხვა რაიონების სოფლებსაც. 1936 წელს „სამტრესტის“ ბაღები და სანერგე მერეთის კოლმეურნეობას გადაეცა.

მერეთის „სამტრესტის“ მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა პირველი მერცხალი იყო. 1929 წელს საფუძველი ჩაეყარა ქიწნისისა და ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობებს.

თუ 1923 წელს გორის რაიონში ხილის ბაღებს 1.053 ჰექტარი ეკავა, 1929 წლისათვის ბაღების ფართობმა 2.155 ჰექტარს მიაღწია. მას შემდეგ მეხილეობა თანდათანობით განვითარდა და 1968 წლისათვის ხილის ბაღებმა 15.200 ჰექტარი დაიკავა. ხუთწლედის ბოლოს მათი ფართობი 16.514 ჰექტარს მიაღწევს.

რა ჯიშის ვაშლს არ ნახავთ რაიონში! ზოგიერთი ჯიში სკრის მეხილეობის საცდელ სადგურშია გამოყვანილი. მათ მისაღებად წლების მანძილზე მუშაობდნენ სადგურის მეცნიერ-მუშაკები და სელექციონერები. სკრის საცდელი სადგურის სელექციის განყოფილების გამგის, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის თამარ ცერცვაძის დიდი დამსახურებაა, რომ გორის ბაღებში ხარობენ „საქართველოს პიონერი“, „გორული სინაპი“, „საგამოფენო“ და „ივერია“. ამჟამად მისი ხელმძღვანელობით გამოცდას გადის სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოტანილი ხუთასამდე ვაშლის, ორასამდე მსხლის, ასამდე კომშის, ასოცამდე ბლისა და ალუბლის, სამოცამდე ქლიავის ჯიშები.

ბაღებში ნახავთ შამპანურ რენეტს, ყვითელ ბელფორს, ზამთრის ბანანს, ლონდონურ პეპინს, ლანდსბურგის რენეტს, კეხურას. მსხლის ჯიშებიდან ბაღებში შეხვდებით ზაფხულის ვილიამსს, გულაბს, ხეჭეჭურს, ბერე-ბოსკოს, სენ-ჟერმენს, ზამთრის დეკანს, არდამპანს. ატმის ჯიშებიდან გავრცელებულია ამსდენი, გორული სადრეო, ელბერტა, ხიდისთაური ვარდისფერი, ხიდისთაური თეთრი, ხიდისთაური ყვითელი საგვიანო, კახური თეთრი. გორის რაიონის ბაღების მშვენებაა ქლიავის, ბლის, კომშისა და ალუბლის მრავალი ჯიში.



ფოტო დ. იაკობაშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარაქიანი ბაღებისათვის მადლობის ღირსნი არიან ხილის უხვი მოსავლის ოსტატები. კარგად მოვლილი ხეხილის ბაღი 2-3 ჯერ მეტ მოსავალს იძლევა. ცნობილი მეხილის, განსვენებული სიკო ცაციაშვილის ვაშლის ბაღში ყოველწლიურად ჰექტარზე 800-900 ცენტნერამდე კეხურა იკრიფება. ეს იმიტომ, რომ სიკო აგროტექნიკურ ღონისძიებებს ზუსტად ატარებდა, დაუცხრომლად ეძებდა სიახლეებს, თავდაუზოგავად შრომობდა.

გორის რაიონის მოწინავე მეხილეები წარმატებებს აღწევენ პრაქტიკაში მოწინავეთა გამოცდილების, მეცნიერების მიღწევებისა და პროგრესული მეთოდების დანერგვით. ისინი ყურადღებით ეკიდებიან ნიადაგში მწვანე სიდერატების ჩახვნას, მინერალური და ორგანული სასუქების დროულად და სწორად შეტანას, დამატებითი კვების მიცემას, ხეხილის დროულად რწყვას, მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლას. ასე გაითქვეს სახელი სანდრო ზარიძემ, ვახტანგ გოგშელიძემ, ეკატერინე თვალიაშვილმა, თამარ გორგიშელმა. საამაყოა, რომ გორის რაიონიდან უკანასკნელ წლებში 345 კაცი საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოეს, სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭათ ვარიანის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირს ეკატერინე თვალიაშვილს და სოფელ ფლავის კოლმეურნეობის ბრიგადირს ვახტანგ გოგშელიძეს.

გორი მეხილეობის მოწინავე რაიონია რესპუბლიკაში. გორული ხილი საქვეყნოდაა ცნობილი. რაიონში მებაღეობიდან მიღებულ შემოსავალს ვერც ერთი დარგიდან მიღებული შემოსავალი ვერ გაუტოლდება. ეს მაშინ, როცა ხეხილის ნარგავების მხოლოდ 23 პროცენტია მსხმოიარე. ადვილი წარმოსადგენია, როგორ გაიზრდება ფულადი შემოსავალი, როცა ნაყოფს ხეხილის მთელი ბაღები მოისხამს!

## ჭარხალი

1967 წელს გორის რაიონის მშრომელებმა იმდენი ჭარხალი მოიწიეს, რომ ქარხანამ მათი გადამუშავებით 340 ათასი ფუთი შაქარი გამოუშვა. იმ საიუბილეო წელს საამაყო ბევრი ჰქონდათ მეჭარხლეებს. მათ შორის იყვნენ ნიქოზელი თამარ ლაზარაშვილი და ლეილა კანდელაკი, რომლებმაც ჰექტარზე 1000-1400 ცენტნერი ჭარხალი მოიყვანეს. ამაყობდა ხურვალეთელი მეჭარხლე მ. წკრიალაშვილი თავისი მოსავლით, უხაროდათ ტირძნისელებს, რომელთა კოლმეურნეობაში შაქრის ჭარხალს ჯერჯერობით პირველი ადგილი უკავია ფულად შემოსავალში. საუკეთესო შედეგი ჰქონდათ კარბელებს არა მარტო გორის რაიონში, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. და საბოლოოდ ძირი გამოეთხარა იმ შეხედულებას, რომ თითქოს გორის რაიონი ჭარხლის უხვ მოსავალს არ მოგვცემდა.

დღეს მეჭარხლეობა რაიონში ერთ-ერთ



საკოლმეურნეობათაშორისო მებოსტნეობის სასათბურო მეურნეობის მშენებლობა









მექანიზაცია ფერმაში.



შემოსავლიან და მთავარ დარგს წარმოადგენს. ამიტომაც მისი მოსავლიანობის გადიდება რაიონის მშრომელთა მნიშვნელოვანი ამოცანაა. სადღაა ის დრო, როცა კარგ კოლმეურნეს ჰექტარზე 300 ცენტნერი მოჰყავდა. ახლა კოლმეურნეობები რაიონში ჰექტარზე საშუალოდ 700-800 ცენტნერ ჭარხალს იღებენ. თუ გვაქვს ჭარხალი, ეს ნიშნავს, რომ გვექნება შაქარი. მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება ჭარხლის სარგებლიანობა. მისი ნარჩენები — ფოთლები, ბადაგი და დურდო პირუტყვის საუკეთესო საკვებია. ესე იგი, თუ გვაქვს ჭარხალი, დამატებით გვექნება კიდევ ხორცი და რძე. ამიტომაც გორელმა კაცმა გონივრულად გადაწყვიტა, რომ შაქრის ჭარხლის ჩაბარების ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელში შეასრულოს.

### ხორცი, რძე, კვერცხი

1966 წელს ტინისხიდის ველზე დაიწყეს საკოლმეურნეობათაშორისო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საჯიშე-სანაშენო მეურნეობის მოწყობა. ამის მიზანი იყო გადაექციათ მეცხოველეობა რაიონში ერთ-ერთ მომგებიან დარგად. მართალია, ბევრი კოლმეურნეობა გადაჭარბებით აბარებს სახელმწიფოს ხორცისა და რძის პროდუქტებს და ამ გადასახადებისაგან განთავისუფლდნენ კოლმეურნეები, მართალია, ნიქოზში ჰყავთ მოწინავე მწველავი მარიამ ლაზარაშვილი, ხურვალეთში — მარგალიტა ტერმაკოზაშვილი, ცხრა შვილის დედა, რომელიც სანაქებოდ უვლის პირუტყვს, ჰყავნან სხვა მოწინავენიც, მაგრამ ეს საკმარისი არ არის იმისათვის, რომ მეცხოველეობა რენტაბელური იყოს. მეცხოველეობის მომგებიან დარგად გადაქცევა დაევალა საჯიშე-სანაშენო მეურნეობას.

იქ რომ შეხვალთ, გაგაოცებთ სრული მექანიზაცია. თითქმის ყველა სამუშაო აპარატების გამოყენებით სრულდება. რძის საწველი აპარატები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოიტანეს. ნავარაუდევია თითოეული ძროხისგან 3000 კილოგრამი რძის მიღება. ფერმაში მხოლოდ ჯიშიანი პირუტყვი ჰყავთ. ეს იმიტომ, რომ მოამრავლონ ჯიშიანი დეკეულები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის, გააუმჯობესონ ძროხების ჯიშობრივი შემადგენლობა და აამაღლონ წველადობა.

თუ რა დიდი როლის შესრულება შეუძლია საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებებს რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარებაში, ამას ამტკიცებს მეფრინველეობის ფაბრიკის მაგალითიც. 1964 წელს ამ ფაბრიკის მშენებლობაში 24 კოლმეურნეობა ჩაება. 1965 წელს კი ფაბრიკამ უკვე პირველად და გადაჭარბებით შეასრულა ფრინველის სულადობის გეგმა. წარმატებით შესრულდა, აგრეთვე, კვერცხის ჩაბარების გეგმა. მეფრინველეობა რაიონში მომგებიან დარგად გადაიქცა.

### ყურძენი, პური, ბოსტნეული

არასწორი შეხედულება ჰქონდათ ზოგიერთებს მევენახეობის განვითარებაზე გორის რაიონში. ფიქრობდნენ, რომ გაზაფხულის ყინვები აზიანებდა კარალეთის, ბერბუკის, ხელთუბნის, ზედდულეთის, ძევერის, შინდისის, ფხვენისის ვენახებს. მაგრამ ყველაფერი ყინვის ბრალი როდია. ვენახებს მოუვლელობაც წაახდენს ხოლმე.

მევენახეობის განვითარების მიზნით გა-

მონახა ისეთი მიკრორაიონი, სადაც ყინვა არ აწუხებს ვაზს. აქ მოეწყო საკოლმეურნეობათაშორისო მევენახეობის მეურნეობა, რომელიც ამჟამად 400 ჰექტარზეა გადაჭიმული.

მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის გარკვეული ღონისძიებები კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმაც გაატარეს. ახლა უკვე აღარავის აეჭვებს, რომ ვენახი გორის რაიონში დიდი შემოსავლის წყაროა. ყურძნის შესანიშნავ მოსავალს იღებენ ყოველწლიურად ქახვრელში. იქაური ახალგაზრდობა აგრძელებს წინაპრების დიდ ზრუნვას ვაზისადმი. ქახვრელელთა ზვრები სანიმუშოდ არის მოვლილი.



ვენახის ახალი ფართობები გაშენდა მეღვრეკისში. პატივს სცემენ ვენახს ტყვიავში. ეს დალოცვილი ვაზი რაიონში 1970 წლისათვის 6.200 ტონა ყურძენს გვპირდება.

ბაღებისა და ვენახების დამატებითი ფართობების გაშენების გამო მარცვლეული კულტურების ნათესები ვერ გაიზრდება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაიონს არ ექნება საკუთარი პური. მინდვრის მშრომელებმა ვალდებულება აიღეს უხვმოსავლიანად აქციონ ხორბლისა და სიმინდის არსებული ფართობები.



არც ბოსტნეული დავიწყებიათ გორელებს. ოთხი სოფლის: ქახვრელის, ატენის, ხიდისთავისა და ბნავისის კოლმეურნეები გაერთიანდნენ 3 ჰექტარზე საკოლმეურნეობათაშორისო მებოსტნეობის სასათბურო მეურნეობის მოსაწყობად და ამჟამად გაცხოველებით მუშაობენ.



ურიგო არ არის 500 ტონამდე კიტრი და პამიდორი ზამთარში. მოგებიდან მიღებული თანხებით გაფართოვდება მეურნეობა, უფრო უხვად წამოვა გორული კიტრი და პამიდორი.

ბოსტნეულის მაღალ მოსავალს იღებენ ყოველწლიურად კოლმეურნეობები. ყველაზე დიდი წარმატებები კარბელებს აქვთ. ეს იმიტომ, რომ ბრიგადებმა გაიპიროვნეს ბოსტნეულის სახეობები. ბრიგადების ასეთი სპეციალიზაცია მისაბაძია სხვებისათვის.

... გულუხვია გორული შემოდგომა. გორელ კაცს შრომა უმართლებს. იგი ეკონომიურად შეძლებულია. ეკონომიურმა სიძლიერემ რაიონის სოფლებიც ქალაქურად მორთო. ფართო მასშტაბით გაიშალა მშენებლობანი. აიგო საშუალო და რვაწლიანი სკოლები, საბავშვო ბაღები, კლუბები, ბიბლიოთეკები, ამბულატორიები, საავადმყოფოები, მაღაზიები, აფთიაქები, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. მოეწყო სპორტული მოედნები, გაშენდა დასვენების პარკები, მოწესრიგდა შიდა სასოფლო გზები, გაკეთდა ხიდები და ბოგირები, გაიყვანეს ახალი გზები.



ეს უკვე რაიონის მშრომელების მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებისათვის გადადგმული დიდი ნაბიჯია.

**ლია კაკაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაროსლავ იოსელიანი

# ნაპირზე დავბრუნდები

ეძღვნება შესანიშნავი ქართველი მწერავი ქალის, 1945 წლის 16 აპრილს თავის საბრძოლო პოსტზე გმირულად დაღუპული ნინო ჯაფარიძის ნათელ ხსოვნას.

მოთხრობა

მხატვარი ნანა მესხიძე

ნაღმოსნის ტიპის მცირე გემი „ნალუკა“ კენტად მიადგა რუმინეთის ნავსადგურ კონსტანცას განაპირა ყურეს. გარეგნულად საკმაოდ მშვიდობიანად გამოიყურებოდა. ვერაფრით შენიშნავდით იმ საბედისწერო დაძაბულობას, რაც სინამდვილეში ამ სამხედრო ხომალდის შიგნით სუფევდა. საგანგებოდ დაყენებული გუშაგის გარდა, საათის ქანქარის სიზუსტით რომ დააბიჯებდა თავის უბანზე, არაფერი ამჟღავნებდა ცოცხალი ადამიანის არსებობას არა მარტო ამ გემზე, არამედ მის სიახლოვესაც კი.

„ნალუკის“ ფრჩხილისტოლა კაიუტკომპანიაში მაგიდასთან იჯდა თავჩაქინდრული კაცი, ასე 45-50 წლისა; საზღვაო ოფიცრის ფორმა ეცვა, ოთხი საშუალო ზომის დანაკერი ჰქონდა სახელოზე. ეს იყო სამხედრო ტრანსპორტ „ბავარიის“ კაპიტანი ოტო ვალდმანი. ეს ტრანსპორტი მთელი თავისი ტვირთით, რაც 118 ტონას შეადგენდა, გასულ ღამეს დაიღუპა კონსტანცას მისადგომებთან. კაპიტანს გული ეკუმშებოდა. საქმე მარტო ის კი არ იყო, რომ დაკარგა გემი, რომელსაც მრავალი წლის ცურვის განმავლობაში შეეჩვია, შეეთვისა და შეესისხლხორცა, საქმე ის იყო, რომ ამით საგრძნობი ზარალი მიადგა ფატერლანდის სამხედრო ძლიერებას, და ეტყობოდა, პირადად მას რაღაც სერიოზულ ბრალდებას უყენებდნენ. თორემ, აბა რისთვის დასჭირდათ მისი მიჯაჭვა ამ კაიუტ-კომპანიაში? რისთვის ჩააყენეს ფაქტიურად პატიმრის მდგომარეობაში და რად ინებეს შესწავლის მიზნით, „ბავარიის“ დაღუპვის ადგილზე, ცენტრიდან საგანგებო დაზვერვის წარმომადგენლის გამოგზავნა? განა ცოტა ტრანსპორტებს ძირავენ საბჭოთა წყალქვეშა ნავები, მაგრამ ცენტრიდან ჯერ არავინ გამოუგზავნიათ.

რაც მეტს უფიქრდებოდა თავის მდგომარეობას, მით უფრო უარესად ეჩვენებოდა. ვინც ოტო ვალდმანს ადრე იცნობდა, მის ფერწასულ, გამხდარ სახეზე იოლად შენიშნავდა ფარული კაეშნის კვალს, ხოლო მის ღია-მწვანე თვალებში — შიშსა და სასოწარკვეთილებას.

კაპიტანი ისევ და ისევ აღიდგენდა გონებაში იმ უბედური ლაშქრობის ყოველ წვრილმანს, ეძებდა ადგილს, სადაც შეიძლებოდა რაიმეში მისი ჩავარდნა და ბრალის დადება. ზუსტად ერთი დღე-ღამის წინ „ბავარია“ ისტამბულში, დოლმაბახჩის ნავსაყუდელში ახსნეს. მარტოდმარტო, დაცვის გარეშე, გაემართა იგი ბოსფორის სრუტისაკენ, რომ ღამის მყუდროებაში უხმაუროდ გაჭრილიყო კონსტანცის პორტში.

„ბავარიის“ გასვლას წინ ხანგრძლივი მსჯელობა უძღოდა. კამათობდნენ იმაზე, დაცვის გემების გამოჩენამდე დაეცადათ, თუ რისკი გაეწიათ და მარტო გაეშვათ, ბნელი ღამის ამარა. ოდესის მიმართულებით საბჭოთა ჯარები უტევდნენ და მძიმე დღეები ედგათ, სამხედრო გემებს სხვა ამოცანები ეკისრებოდათ. ვალდმანი დამოუკიდებელი ლაშქრობის მომხრე იყო. მართალია, შავ ზღვაზე ცურვის შემთხვევა არ ჰქონია, მაგრამ კირენაიკაში მოქმედ ფაშისტურ ჯარებს რომ ამარაგებდა საბრძოლო აღჭურვილობით, არაერთხელ წარმატებით მოუხდენია ასეთი ღამეული გადასვლები აფრიკის სანაპიროებთან. ბადრაგი ვალდმანს საერთოდ არ უყვარდა...

ოტო ვალდმანი მძიმედ წამოდგა და აგერ უკვე მერამდენედ შეუდგა ბოლთის ცემას ამ პატარა კაიუტკომპანიაში, სადაც თაგვი კუდს ვერ მოიბრუნებდა. შუქი გამორთო, გარეთ გაიხედა. ღამდებოდა. ზღვაზე უკვე ნისლი წვებოდა. ძველ მეზღვაურს ყოველთვის ხიბლავდა სამხრეთის ზღვების მომჯადოებელი საღამოები, მაგრამ ახლა ბუნების მშვენიერება მხოლოდ აძლიერებდა მის დარდსა და შეშფოთებას. მისი გონება ამ ერთი ფიქრით იყო მოცული: რა დანაშაული მიმიძღვისო? რატომ მარტო მე დამაკავესო? ტრანსპორტის ჩაძირვის შემდეგ ხომ ზღვაზე სხვა სამხედრო ხელმძღვანელებიც აიყვანეს? მათ ხომ საბოლოოდ დალოცეს „ბავარიის“ კენტად ლაშქრობა. ასე ფიქრობს იონა მარიესკუც... სხვათა შორის, ნეტავ, სად გაქრა ეს მომხიბლავი ქალიშვილი? დაიღუპა თუ გადაარჩინეს? ვალდმანს ქალიშვილი მხოლოდ ახლა მოაგონდა, თუმცა მარიესკუმ „ბავარიაზე“ გამოჩენის დღიდანვე მოინადირა მისი გული მშვენიერი გარეგნობითა და სინაზით. იგი ოც წელს გადაცილებული იყო, მაგრამ ისე ლაღად ეჭირა თავი, გოგონა გეგონებოდათ. საშუალო ტანისა იყო, კოხტა, მაღალ შუბლს კეთილშობილური სხივი უცისკროვნებდა. დიდრონ, ჭკვიან, მაყვალივით შავ თვალთა გამჭოლ მზერას ურბილებდა წყნარი, გაურკვეველი ღიმილი, რაც მის საერთოდ მშვიდ სახეს სითბოსა და მიმზიდველ იერს აძლევდა. ზედ გემის ახსნის წინ, როცა თოკის კიბე უკვე აკრეფილი იყო, გემსადგომზე გამოჩნდა იონა მარიესკუ ორი ჭაბუკის თანხლებით. მოწერილობა წარადგინა საგანგებო სადაზვერვო ნაწილიდან, ჩვენი თანამშრომელი კონსტანცაში გადაიყვანეთო, სთხოვდნენ.

კაპიტანს არ მართებდა ქალიშვილის მომხიბლავი სახის ცქერა და ოფიციალური ნაცნობობით დაკმაყოფილდა, თუმცა მაინც ისარგებლა შემთხვევით და ნაზი ღიმილით ჩახედა თვალებში, თანაც უფრო დაჟინებით, ვიდრე ასეთ შემთხვევებშია მიღებული. კაპიტნის უფროსმა თანაშემწემ ერთხელ კიდევ შეამოწმა ქალიშვილის დოკუმენტები და როცა ყველაფერი რიგზე აღმოჩნდა, სტუმრებისათვის განკუთვნილ კაიუტაში შეიყვანა.

ქალიშვილი ღია ზღვაში გასვლამდე ბანზე ერთხელაც არ გამოჩენილა. მაგრამ კაპიტანს მაინც არ ავიწყდებოდა იგი. ვიდრე „ბავარია“ სრუტის ზონის ოცდაათკილომეტრიან მანძილს გადასერავდა, ბარე ხუთჯერ მიუგზავნა მეზღვაური, გემბანზე ეპატიჟებოდა — ბოსფორის მომხიბლავი ნაპირები ნახეო, ღამის მკრთალი შუქით ზღაპრულად განათებული სრუტის წყნარი წყალი როგორ ლივლივებსო. ხანაც ეკითხებოდა, ხომ არაფერი ნებავსო ეგ'ომ სასურველ სტუმარს. იონა ყოველთვის თავაზიან მადლობას უთვლიდა, მიწვევაზე კი უარს ეუბნებოდა. მხოლოდ მაშინ, როცა გემი სრუტიდან გამოვიდა, ღია ზღვაში შეცურდა და დასავლეთისაკენ გაუხვია, რათა ნაპირ-ნაპირ წასულიყო კონსტანცისაკენ, ქალიშვილი მოულოდნელად ბოგირზე გამოჩნდა. მისმა სიცილმა საბოლოოდ დაატყვევა კაპიტანი.

ამ ფიქრებში იყო ვალდმანი, როცა კარზე დააკაკუნეს. პასუხის გაცემაც არ დააცალეს, ისე პირდაპირ შემოიჭრა ოთახში სამოქალაქო სამოსელში გამოწყობილი ორი კაცი. ორივე ისე იყო გამოწკეპილი, რომ თვალში გეცემოდათ მათი მყვირალა, ქედმაღლური ჩაცმულობაც და ქცევაც.

— ობერლეიტენანტი კარლ მიტენვოხი! — ცივად მოახსენა პირველად შემოსულმა, უცერემონიოდ გაუარა წინ და მაგიდას მიუჯდა. მის მაგალითს მიჰბაძა მეორემაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— ოტო ვალდმანი, „ბავარიის“ კაპიტანი, — ცოტა შეყოვნებით თქვა მასპინძელმა.

მიტენვოხმა სიძულვილით სავსე მზერა ესროლა კაპიტანს, თუმცა მის გამხდარ, თითქოს ხისაგან გამოთლილ სახეზე ძარღვიც არ შეტოკებულა. პორტფელიდან სწრაფად ამოიღო ქაღალდები და მაგიდაზე დააწყო.

— რომელი „ბავარიის“ კაპიტნად ითვლებით თქვენ? შავი ზღვის ფსკერზე რომ წევს? — უწინდებურად გახევებული სახით მიუბრუნდა ვალდმანს და გესლიანი კითხვა გარეგნული სიმშვიდით შენიღბა.

ვალდმანი ისე იყო გამოჭიმული, როგორც მოწაფე მასწავლებლის წინაშე. პასუხი ვერ გასცა, მხოლოდ ხელები გაასავსავა:

— იცით თუ არა, ბატონო კაპიტანო, რომ ბოსფორიდან დანიშნულ ადგილამდე ცურვის განმავლობაში „ბავარიის“ გემბანიდან ექვსჯერ გაიგზავნა ეთერში უცნობი რადიოსიგნალი? — მიტენვოხი განზრახ აჭიანურებდა სიტყვებს, ეტყობოდა, სიამოვნებდა ვალდმანის წამება. — მოლაპარაკება წარმოებდა სწორედ იმ ქაჯთან, გენერალ ნამგალაძესთან.

ვალდმანს ვიწრო და გრძელი სახე ისე მოეღრიცა, ვეღარ იცნობდით.

— მიპასუხეთ! — დაიღრიალა მიტენვოხმა.

— არა, ბატონო, ამისი არაფერი არ ვიცი, — ძლივს გამოცრა ვალდმანმა ხრინწიანი ხმით.

— იცით თუ არა, ბატონო „ბავარიის“ კაპიტანო, რომ თქვენს გემზე მეზღვაურებად მსახურობდნენ ოსტერვუნში და კნაბენახტი, ყოფილი კომუნისტები და სამშობლოს გამყიდველები? თანაც ერთი მათგანი, სახელდობრ კნაბენახტი, რადიოს საქმეს იცნობდა?

ვალდმანი ისე მოიბუზა, თითქოს ზურგზე ჭიანჭველებმა გადაურბინეს. ჯერ მიტენვოხს მიაშტერდა სახეში, შემდეგ მის მდუმარე ამხანაგს, წამიერ დუმილს გაუძლო და მტკიცედ თქვა:

— იცით, ბატონებო, თუ თქვენ ფიქრობთ, რომ თავის მართლებას დავიწყებ, ცდებით! „ბავარიის“ დაღუპვისათვის, ისევე როგორც ყოველი სხვა გემის დაღუპვისათვის, პასუხს აგებს კაპიტანი და არა სხვა ვინმე. რაც შეეხება ოსტერვუნშესა და კნაბენახტს, მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში მათ არავითარი ბრალი არ მიუძღვით, რომელ პარტიაშიც არ უნდა ყოფილიყვნენ უწინ. დარწმუნებული ვარ, ჩემს გემზე არავითარი რადიოგადაცემა არ ყოფილა, აქ რაღაც შეცდომაა. მესმის, ასეთი მშვენიერი ხომალდის დაღუპვა უმსხვერპლოდ ვერ ჩაივლის, საჭიროა დამნაშავის პოვნა. მე მზად ვარ პასუხი ვაგო და არავის გადავაბრალო დანაშაული.

— თქვენი პირდაპირი დანაშაული, ბატონო „ბავარიის“ კაპიტანო, თქვენდამი რწმუნებული ტრანსპორტის დანაშაულებრივი დაღუპვის წუთიდანვე ცნობილი იყო ჩვენთვის, — მიტენვოხი მუმიასავით უძრავად იჯდა და ისე ლაპარაკობდა, რომ სახეზე ძარღვიც არ უტოკავდა. — თქვენი დანაშაულობის დასადგენად კი არ მოვსულვართ, ეს ისედაც ვიცით. თუ შეიძლება, აგვიხსენით, რატომ არ აიყვანეთ გემზე ჩვენი თანამშრომელი იონა მარიესკუ?

ვალდმანმა გაკვირვებული მზერა ესროლა მიტენვოხს, რადგან კითხვა წესიერად ვერ გაიგო. მცირე პაუზის შემდეგ უცნაურ კითხვაზე ასეთი პასუხი გასცა:

— იონა მარიესკუ „ბავარიაზე“ გახლდათ. ტორპედოები რომ დაგვიშინეს, მაშინ ალბათ სპარდეკზე იმყოფებოდა. სულ ცოტა ხნით ადრე ბოგირზე ამოვიდა, გზა მშვიდობისა მისურვა და თავის კაიუტაში დაბრუნდა... ალბათ, სპარდეკში დაბრუნებას მოასწრებდა.

ვალდმანის ცნობამ მიტენვოხზე გარკვეული შთაბეჭდილება მოახდინა. მის გახევებულ სახეზე უეცრად შეტოკდნენ კუნთები, რაღაც ფარულმა შეშფოთებამ მოიცვა კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ ამას ამტკიცებთ, ბატონო ვალდმან, იონა მარიესკუ „ბავარიაზე“ იმყოფებოდაო“, ასე არა თქვით? როგორ, ნამდვილად აიყვანეთ ის ქალი? — სეტყვასავით დააყარა კითხვები მიტენვოხმა.

— რას ნიშნავს „ვამტკიცებ“? მე მუდამ სიმართლეს ვლაპარაკობ, — მხრები აიჩეჩა კაპიტანმა.

— მაშ დაიღუპა? გადარჩენილთა შორის არ აღმოჩნდა. მით უარესი თქვენთვის, „ბავარიის“ კაპიტანო, — ზიზღის გამომხატველი ღიმეჭით გაანა მიტენვოხმა. — ასეთი მშვერავი ქალის დაკარგვა უფრო მძიმე დანაკლისია, ვიდრე ასი ტანკისა და გემისა.

— მე უკვე გითხარით, ბრალდებისაგან თავის გამოხსნას არ ვაპირებ-მეთქი, მაგრამ თუ იონა მარიესკუ ნამდვილად ასეთ ღირებულებას წარმოადგენდა, რატომ არ გაიგზავნა კონსტანცაში მეორე, უფრო საიმედო გემით, ვიდრე ჩემი ტრანსპორტი იყო? ხომ ცნობილია, რომ ყოველი მეორე ტრანსპორტი იღუპება უმალ, ვიდრე დანიშნულ ადგილს მიაღწევს.

— გაჩუმდით, ბატონო „ბავარიის“ კაპიტანო, თავს ნუ გადიხართ! ასეთ ლაპარაკს ტრიბუნალზეც მოასწრებთ, — მიტენვოხის გახევებული სახე თითქოს ცოტათი გამოცოცხლდა. — მაშინ შებრალებას ნუ ელით. საით გავაგზავნოთ და როგორ გავაგზავნოთ ჩვენი თანამშრომლები, ეს უთქვენოდაც ვიცით... ბოსფორიდან გამოსვლის შემდეგ მარიესკუს რადიოთი ნიშანი უნდა მიეცა. ამის შესახებ არაერთხელ იქნა გაფრთხილებული. რატომ ვერ მოახერხა სიგნალის გადაცემა, „ბავარიის“ კაპიტანო, ხომ ვერ გვეტყვით?

ვალდმანმა ისევ აიჩეჩა მხრები და მცირე დუმილის შემდეგ მიუგო:

— არ ვიცი, ალბათ შეეცადა, მაგრამ ვერ დაგიკავშირდათ. თქვენ ხომ ამტკიცებთ, რომ ჩვენი გემიდან ექვსჯერ გაგზავნეს ეთერში რაღაც...

— თავს ნუ ისულელებთო, „ბავარიის“ კაპიტანო! — ხმის აწევით მოუჭრა მიტენვოხმა. — მარიესკუს სიგნალები თქვენი რადიოსადგურის მეშვეობით უნდა გადაეცა და არა საიდუმლოდ. მე ვლაპარაკობ კანონიერ კავშირზე და არა ნამგალაძის ჯაშუშურ ქსელზე. არ მესმის, ასეთ გონებამოუქნელ ადამიანს, როგორიც თქვენა ხართ, როგორ მიანდეს აქამდე ასეთი გემი... „ბავარია“, შეიძლება ითქვას, დიდი გერმანიის ფლოტის სიამაყე იყო, — ხელების ქნევით დაასკვნა მიტენვოხმა.

— ოცდახუთი წელიწადია გემის კაპიტნად ვითვლები და თქვენისთანა ცინგლიანებისათვის დღემდე ერთხელაც არ მიმიცია უბრალო შენიშვნის საბაბი. შეგიძლიათ სამხედრო ტრიბუნალს გადამცეთ. იქ მოვილაპარაკებთ... მაგრამ ჩემი შეურაცხყოფის უფლებას არავის მივცემ, ბატონო ობერლეიტენანტო, ეს გახსოვდეთ!

მიტენვოხს უსიცოცხლო სახეზე რაღაც ღიმილის მსგავსი გამოეხატა. ოღონდ ეს იყო ცბიერი, ექიდნური ღიმილი. ჯიბიდან პისტოლეტი ამოიღო, ხელში შეატრიალა და გულგრილად თქვა:

— მე უფლება მაქვს უტრიბუნალოდ დაგხვრიტოთ. თვითონვე იცით, ყოველნაირი სასამართლო მხოლოდ ცარიელი ფორმალობაა, არამზადასთან ანგარიშის გასწორების გასამართლებლად მოგონილი.

კაიუტკომპანიის კარი წყნარად გაიღო და ოთახში ქალიშვილი შემოვიდა.

— მოხარული ვარ, რომ ისევ გხედავთ, კარლ მიტენვოხ! შემიძლია სანაძლეო დავდო, რომ არ ელოდით ჩემთან შეხვედრას.

— იონა მარიესკუ? — შესძახა ვალდმანმა. — ხედავთ, აქ არის!

— ბრიუვო! — გადასძახა ვალდმანს მიტენვოხმა. — ეს, მარიესკუ კი არა, ნინო მერცხლიშვილია, ნამგალაძის ყველაზე უფრო საშიში აგენტი.

— თქვენ კარგად დაგიმახსოვრებივართ, კარლ მიტენვოხ! ოღონდაც! კინაღამ თქვენი მსხვერპლი გავხდი! ო, როგორ აწამეთ საბრალო მერცხალი! მერე ის გაგიფრინდათ!

— დღეს კი ველარსად გამიფრინდებით, ჩემო მერცხალო! — ამ სიტყვებზე მიტენვოხმა პისტოლეტი შემართა, მაგრამ ქალიშვილის ბრძანებლურმა ხმამ ხელი გაუშეშა:

— ადგილიდან არ დაიძრათ! ხელები მაღლა! წინააღმდეგ შემთხვევაში ყველანი ჰაერში აფრინდებით! — და მაგიდის ქვეშ, რაღაც ფუთებზე მიუთითა. — ბამბა არ გეგონოთ, ფეთქებადი ნივთიერებაა. ხედავთ ამ კოლოფს? ზამბარებიანი ამფეთქებელია, რადიოსხივებით მუშაობს, ავტომატურად. საკმარისია აი აქ დავაჭირო, რომ გემიდან ნაფოტი არ დარჩება.

— ეშმაკის ჯილაგო, როდის მოასწარი აქაურობის დანაღმვა! — მიტენვოხი ძრწოლით შესცქეროდა მაგიდის ქვეშ დაზვინულ ჭამღუპველ ტვირთს.

— მთელს გემზე ასეთი დანაღმული ველებია! — ღიმილით ლაპარაკობდა ქალიშვილი. — ასეთი ამფეთქებლები იმათაც აქვთ, მიწაყრილის გაღმა რომ მელოდებიან, რეიდის გარეთა ნაწილში. სიკვდილი გდარაჯობთ ყოველ ნაბიჯზე, ბატონო ობერლეიტენანტო, და თუ ნახევარ საათში ნავით არ გავალთ ზღვაში, სულ ერთია, გემს ავტომატურად ააფეთქებენ.

— არა, მე ტყვედ არ ჩავბარდები! — უეცრად ისე ახრიალდა მიტენვოხი, თითქოს ყელში დანა მიაბჯინესო.

— სხვა გამოსავალი არა გაქვთ, ბატონო მიტენვოხ, სხვაგვარად დაიღუპებით. თქვენი სიკვდილი კი არ შეიძლება. წააგებთ. თქვენისთანა გამოჩენილ მზვერავებს იშვიათად ხვრეტენ. ჩვეულებრივ მათ გადაცვლიან ხოლმე და არსებობას განაგრძობენ. თქვენ, მგონი, ერთხელ უკვე გადაგცვალეს ინგლისელზე, ხომ მართალია? — მერცხლიშვილი ცოტა ეშმაკურად ლაპარაკობდა, თანაც იმდენად თვითდაჯერებულად, რომ პირდაპირ ფარ-ხმალს აყრევინებდა მოპირდაპირეებს. — თქვენ კი, ბატონო ვალდმან, ისეთი დანაშაული არ მიგიძღვით, რომ დაისაჯოთ. რაც შეეხება ამ ახალგაზრდა კაცს, იგი მხოლოდ ახლა სწავლობს ცუდ საქმეს. განსაკუთრებული საფრთხე არც მას ელის. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ ყველას ცოცხლად დარჩენა გვიჯობს.

ვალდმანი მთელი ამ ხნის განმავლობაში დუმდა, მას რაღაც სიამაყის გრძნობით ავსებდა ამ უცხო ქალიშვილის სითამამე, ქცევა, მბრძანებლური კილო...

— სად ისწავლეთ ასე ზედმიწევნით გერმანული ენა, ნინო მერ... მაპატიეთ, თქვენი გვარი ვერ დავიმახსოვრე, — დაიწყო ვალდმანმა ისეთი ხმით, თითქოს აქ არაფერიაო. — არც მეტი, არც ნაკლები, ბერლინური კილოკავი გაქვთ!

— რეგვენო! — ერთხელ კიდევ შეუღრინა მიტენვოხმა კაპიტანს. — აი, რაზე ფიქრობს ასეთ წუთებში! ო, გერმანია!

— ტყუილად გგონიათ, ძუძუმწოვარავ, რომ გერმანია ეს თქვენა ხართ! ეს სულაც არ გახლავთ ასე!

— ბატონო ვალდმან, — ახლა კაპიტანს მიუბრუნდა ნინო, — გთხოვთ იარაღი აართვათ ორთავეს!

— ხორცშესხმული ქაჯი ხარ და არა ქალიშვილი!..

— კარლ მიტენვოხ, როცა დაკითხვაზე მაწამებდით, უკეთესი აზრისა ვიყავი თქვენზე. თქვენ ხომ მზვერავი ხართ, უფრო მეტი თავშეკავება და კეთილგონიერება გმართებთ. გახსოვდეთ, ადამიანს წვრილმანები გასცემენ ხოლმე.

— ეშმაკის ჯილაგი! — მიტენვოხი ქალიშვილს თვალებით ჭამდა.

— ბატონო ვალდმან, თქვენ აყოვნებთ ჩემი დავალების შესრულებას? იქნებ არა გსურთ?

— როგორ, როგორ! — დაფაცურდა ვალდმანი და ორივე მზვერავს სწრაფად აართვა იარაღი.

ნინომ კაპიტანს მადლობა გადაუხადა, პისტოლეტები უბეში ჩაიდო და მტკიცე ხმით განაცხადა:

— აქედან გასვლისა და კატერში ჩასხდომის წესი ასეთია: მე მივდივარ პირველი, უკან მომყვება კარლ მიტენვოხი, ბოლოში მოდის კაპიტანი ვალდმანი. წინააღმდეგობის გაწევას არ გირჩევთ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ კიბესთან ორივე გუშაგი და მორიგეც ჩვენებით არიან შეცვლილი. თვალყურს გვადევნებენ. კატერი ქიმთან დგას. წავიდეთ!

როცა სასიგნალო პოსტიდან კატერი შენიშნეს, მაშინვე იკითხეს, ეს რა კატერია და საით მიდისო.

— შებოჭეთ პატიმრები! — მოესმა რუსულად გაცემული ბრძანება ვალდმანს. — მენიშნევ, ნიშანზე რაიმე გაურკვეველი პასუხი გაეცი! სრული სვლით გავიჭრათ ჰიშკარში, რომ მტერმა ვერ მოასწროს ბონური ღობურების გამართვა! ახლა ბონი დაშვებულია...

მანევრი წარმატებით დამთავრდა. კატერმა მიწაყრილი მოიტოვა და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გაუხვია. მიცურავდა სრული სვლით, თავდაუზოგავად, კიჩოს გვირგვინად მისდევდა აქაფებული წყლის თეთრი ქოჩორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— რისთვის შეგვბორკეთ, ფროილაინ?—რაღაც რბილი, თითქმის მეგობრული ხმით ჰკითხა ნინოს ვალდმანმა.

— ეს მცირე ხნით, ბატონო ვალდმან. წყალქვეშა ნავზე რომ გადახვალთ, იქ მეზღვაურები შეგხსნიან ბორკილებს...

— განა თქვენ იქ აღარ იქნებით?

— არა, ბატონო ვალდმან, მე ნაპირზე დავბრუნდები, თორემ საბრალო მარიესკუს ძებნას დაუწყებენ, ეს კი ჩვენ ხელს არ გვაძლევს, — თითქმის ჩურჩულით უპასუხა ქალიშვილმა, — ნაპირზე დავბრუნდები და ისევ იონა მარიესკუ ვიქნები, ხოლო იონა მარიესკუ, მოგეხსენებათ, გერმანელთა აგენტია!

მწარე სინამდვილემ, ირონიის სუსხმა თუ თავისმა უმწეობამ მიტენვოხი გააცოფა.

— მითხარი, ეშმაკის ნაშიერო, — გაისმა კატერის მეორე კუთხიდან ობერლეიტენანტის ხმა, — მითხარი, როგორც მზვერავმა მზვერავს, როგორ დანალმე სამხედრო ხომალდი „ნალუკა"? ეს ხომ საიდუმლო აღარაა!

— გეტყვი, როგორც მზვერავი მზვერავს, რომ „ნალუკა" არ დაგვინაღმავს, ხოლო თუ კაიუტკომპანიის მაგიდის ქვეშ დაწყობილ ტვირთს იკითხავთ, ეს ვაშლები იყო და არა ნაღმები, — საკმაოდ მოურიდებლად დასცინა ნინომ თავის „კოლეგას". — რადიოამფეთქებლები ახალი გამოგონილი გახლავთ, მაგრამ პრაქტიკაში ჯერ არ გამოგვიყენებია. გემზე ჩემი საშვით ავედი, იონა მარიესკუს სახელით, ამ საბუთს თავის დროზე თქვენ მოაწერეთ ხელი... როგორც ხედავთ, იმაზე მეტს გეუბნებით, რასაც ითხოვთ.

— ეს ხომ ავანტიურაა! — ობერლეიტენანტი გაცოფებული იყო, — სულ ერთია, ხელში ჩაგვივარდები, გაგისწორდებით! დაგხვრეტთ!

— ასე ნუ ბრაზობთ, კარლ მიტენვოხ, ჯანმრთელობისათვის საზიანოა, — წყნარად მიუგო ნინომ, თუმცა ყველამ შეამჩნია, რომ ნავსადგურიდან ორი მონადირე გამოიჭრა და კატერს დაედევნა. — მთელი ჩვენი მუშაობა დაკავშირებულია რისკთან. ვინც დაასწრებს, ის გაიმარჯვებს...

— იონა მარიესკუს დიდი ხანია ცვლით, კაპიანო ეშმაკო?

— თვითონვე ჰკითხეთ. მალე მასთან შეგახვედრებენ, საიმედო ადგილზეა. ამას კი გეტყვით: თუ საჭიროება მოითხოვს, ჩვენი ბიჭები სტამბოლიდანაც კი მოიტაცებენ ქალიშვილებს...

— მარჯვნივ, ცხვირის მხარეს ნავია! — საზეიმო კილოთი თქვა მენიშნემ, — მანძილი ათი კაბელტოვი იქნება...

მერცხლიშვილს არ შეეძლო გულდამშვიდებით ყოფნა. დევნილსა და მდევარს შორის მანძილი კატასტროფულად მცირდებოდა, მაგრამ ქალიშვილი თავის განცდებს არაფრით არ ამჟღავნებდა. პირიქით, უფრო მხიარული და ენამზიანი გახდა. ასე გასინჯეთ, ხუმრობდა კიდეც.

— ასე თუ ისე, მცირე წვლილი როდი შევიტანეთ ოდესის განთავისუფლების საქმეში, — გაიხსენა უცებ. — 118 ტანკი განადგურებულია და ფსკერზე დახოხავს... ახლა ხალხი? ტანკებს ხომ თავიანთი ეკიპაჟებიც თან ახლდათ! ურიგო არაა, ურიგო არაა, ბიჭებო, ხომ მართალს ვამბობ? ცხრა დღის წინ კიდევ საწვავით სავსე ტანკერი გავანადგურეთ. ცოტა სამსახური როდია ფრონტისათვის...

— ადრე ზეიმობ, ეშმაკის კერძო! — რუსულად თქვა მიტენვოხმა, — სიკვდილი მოგდევთ კვალდაკვალ. მას ვერსაით გაექცევით.

— კარლ მიტენვოხ, თქვენ სწორედ ასე მეუბნებოდით მაშინაც, როცა მაწამებდით, გახსოვთ? — ცბიერი ღიმილით მიუგო ქალიშვილმა. — მერე, ხომ გავუსხლტი სიკვდილს?

— ყოველთვის ვერ გაუსხლტები.

— ჩვენ კოლეგები ვართ, ერთად უნდა მოვკვდეთ.

ამ დროს მონადირე სწორედ მისაწვდომ მანძილზე მოახლოვდა და საარტილერიო ცეცხლი გახსნა. მაგრამ საბჭოთა წყალქვეშა ნავიც უკვე მიადგა კატერს და ფართოდ გაუღო კარი მერცხლიშვილის „სტუმრებს"!

თვითონ მერცხლიშვილი კი, ვითომ რუსი პარტიზანების მიერ ნაცემი, ნავში დარჩა და ისევ სამტროდ ალმოდებულ ნაპირზე დაბრუნდა, როგორც იონა მარიესკუ.

ნინო მერცხლიშვილი მშვიდად განაგრძობდა იონა მარიესკუს როლის თამაშს. ეს საიდუმლო მხოლოდ მერცხლებმა იცოდნენ, მისმა დობილებმა, რომელთაც სამშობლოში სალამს აბარებდა.

# გემრიელი ახალი წელი!



ფაბრიკის დირექტორი ლიდა მახარაშვილი

— ისეთი ტკბილი იყოს ახალი წელი ჟურნალის მკითხველებისათვის, ისეთი საამო და ბედნიერი იყოს ამ წლის ყოველი დღე, როგორი სიტკბოც საკონდიტრო ფაბრიკა „საამოშია", — ფაბრიკის დირექტორი ლიდა მახარაშვილი ასე იწყებს თავის საახალწლო მილოცვას საქართველოს ყველა ქალისადმი, — დგება 1970 წელი. ამ წელს ჩვენ 90-მდე დასახელების ტკბილეულს შევაგებებთ. ეს იქნება სხვადასხვა სახის მარმელადები, აღმოსავლური ნაწარმი, ხალვა, დრაჟე, რბილი კამფეტები... თუ ტონობით ვიანგარიშებთ მთელი წლის პროდუქციას, მაშინ ტკბილეულის რაოდენობა 3.500 ტონამდე მიაღწევს. ჩვენ ეს არ გვყოფნის, არ გვყოფნის იმიტომ, რომ ძალიან დიდია მოთხოვნილება აღმოსავლურ ნაწარმზე, რბილ კამფეტებზე, ზეფირზე. სწორედ ამიტომაც ფართოვდება ფაბრიკა. მშენებლობა უკვე დაწყებულია.

შესაფერი სახელი დაურქმევიათ ფაბრიკისათვის. აქ ყველაფერი მართლაც საამოა, — მოხალული ჩურჩხელიც, ნუგაც, შაქარყინულიც, ზეფირიც, ნატურალურ წვენზე დამზადებული მარმელადი „ალუბალიც", დრაჟე „საიუბილეო", რბილი კამფეტი „ჩიტის რძე" და რა გინდა, სული და გული!

გარდა იმისა, რომ საამოა, ბევრი აქ დამზადებული დრაჟე სამკურნალოცაა. დრაჟე „სპორტული" ვიტამინიზირებულია და გლუკოზასაც შეიცავს, დრაჟე „კროკეტში" შედის ვიტამინი C, სკლეროზის საწინააღმდეგო კარგი საშუალებაა დრაჟე „ზღვის კომბოსტო", დიაბეტიკებს უთუოდ მოეწონებათ პლასტი „სორბიტი", ზეფირი „სორბიტი", დრაჟე „კაკაო".

როცა საკონდიტრო ფაბრიკაში გაფაციცებული მუშაობა იყო, ჩვენი ფოტოკორესპონდენტი დავით იაკობაშვილი ეწვია საამქროებს და აღბეჭდა 300-კაციანი კოლექტივის შემოქმედებითი განწყობილება.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.



მზადდება მარმელადი



შაქარყინული!



ვიტამინიზირებული დრაჟე



ტკბილად დაგვბერებოდით!



მარმელადის მექანიკური ჩამოსხმა



ზეფირი მზადაა!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ირინე ჯანდიერი

„კლასიკური ცეკვა — ეს არის ემოციური დაძაბულობის უმაღლესი გამოხატულება, ეს არის ადამიანის სხეულის მოძრაობის მუსიკა, — ცნობილი საბჭოთა ბალეტმეისტერის ფ. ლოპუხოვის ეს სიტყვები თამამად შეიძლება მივუყენოთ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტის ირინე ჯანდიერის ცეკვას.

სახელგანთქმული ბალეტმეისტერის ვახტანგ ჭაბუკიანის აღზრდილმა — ირინე ჯანდიერმა სასახელოდ ჩააბარა ძნელი შემოქმედებითი გამოცდა საკავშირო და საერთაშორისო არენებზეც. იგი ახალი ქორეოგრაფიული საკონცერტო ნომრების მესამე საკავშირო კონკურსის ლაურეატი გახდა, ხოლო ამ ცოტა ხნის წინათ, მოსკოვში ჩატარებულ ბალეტის ახალგაზრდა მსახიობთა პირველ საერთაშორისო კონკურსზე მესამე პრემია და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ეს იყო გამარჯვება არა მარტო ახალგაზრდა შემოქმედისა, არამედ მთელი ქართული ქორეოგრაფიული სკოლისა და პირველ რიგში, მისი სულისჩამდგმელის — ვახტანგ ჭაბუკიანისა.

„მქუხარე ტაშით შეხვდნენ მოსკოველები დიდი თეატრის სცენაზე თბილისელი მოცეკვავის ირინე ჯანდიერის გამოჩენას. მან შეასრულა ვარიაციები ბალეტებიდან — „ბაიადერა" და „დონკიხოტი", — წერდა ბალეტის მსახიობთა საერთაშორისო კონკურსის დღეებში გაზეთი „პრავდა". მოსკოვის პრესა აღნიშნავდა ქართველი მოცეკვავის დიდ ტექნიკურ ძალას, ნიჭსა და ტემპერამენტს.

ირინე ჯანდიერის წარმატება მარტო ნიჭით არ აიხსნება, იგი ყოველდღიური შეუპოვარი შრომის შედეგიცაა. მის ხელოვნებას მაყურებელი აღიქვამს როგორც ბუნებრივსა და ცხოვრებისეულს, მის მიერ შესრულებული სახეები აღბეჭდილია დიდი სიმართლით. საცეკვაო ტექნიკა ბოლომდე დახვეწილია. ცეკვის გრაფიკული მონახაზი — ლამაზი, ნახტომები — ჰაეროვანიც და ძლიერიც.

ათი წლის წინათ დაამთავრა ირინე ჯანდიერმა ქორეოგრაფიული სასწავლებელი, ათი წელი გავიდა გამოსაშვები საღამოს შემდეგ, მაგრამ მაყურებელს დღესაც კარგად ახსოვს მისი ნაზი და ჰაეროვანი სილფიდა, გრაციოზული, ბავშვურად ცელქი და ამავე დროს ქალური ავრორა. სწორედ მაშინ ჩარიცხეს ნიჭიერი მოცეკვავე გოგონა ოპერის თეატრის საბალეტო დასში. პირველ ხანებში სოლო ნაწყვეტებს ასრულებდა, შემდეგ დებიუტი შედგა — ბალეტ „გორდაში" ირენას პარტია შეასრულა. ახლა ირინე ჯანდიერი ცეკვავს ყველა იმ კლასიკურ და თანამედროვე საბალეტო სპექტაკლში, რომლებიც კი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე იდგმება. ესენია მთავარი პარტიები ჩაიკოვსკის „მძინარე მზეთუნახავსა" და „გედის ტბაში", პროკოფიევის „ზოლუშკაში", ადანის „ჟიზელში", მინკუსის „ბაიადერაში", თორაძის ბალეტში — „მშვიდობისათვის" და სხვ. სადაც კი უცეკვია ირინე ჯანდიერს, უნგრეთი იყო ეს თუ პოლონეთი, იაპონია თუ საფრანგეთი, ყველგან მოუხვეჭია მაყურებლის აღიარება და სიყვარული.

მოცეკვავე ღრმად თვითმყობადია. თემატურად სხვადასხვა პარტიების შესრულებისას ყოველთვის რჩება თავისი შემოქმედებიით ინდივიდუალობის, თავისი ხელწერის ერთგული. მის მიერ შექმნილი სახეები უბრალოა და ელეგანტური, ქალურია და ნატიფი, საზეიმოა და დიადი, სიცოცხლის დამამკვიდრებელი. მოცეკვავე მუდამ ისწრაფვის მაყურებელს განაცდევინოს ცეკვის მუსიკა, მისი პოეტური არსი.

ირინე ჯანდიერი ახლა თავისი ნიჭის აყვავების ხანაშია, იგი კვლავ არაერთხელ გაახარებს მაყურებელს თავისი შესანიშნავი ხელოვნებით. ლაურენსიას როლი, რომელსაც ამ სეზონში შეასრულებს, მოცეკვავე ქალის კიდევ ერთი შემოქმედებითი ანგარიში იქნება მაყურებლის წინაშე.

ინა მამალაძე







ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრო ლომიძე

# გული დედისა

მოთხრობა

მოხუცი მარიამი ოდის წინ ჯორკოზე იჯდა; იქვე, წყლის ონკანთან, გუბეში მთვარის მკრთალ ანარეკლს დასცქეროდა.

ტყის ქათამმა ოდას ჩაუქროლა. დონიერი ფრთებით აზვირთებულმა ჰაერმა მიწაზე დაფენილი მკვდარი ფოთლები ააფორიაქა, შრიალით წამოიშალნენ. ერთი ფოთოლი გუბეზე ფარფატით დაეშვა და მთვარეს გადაეფარა.

— მარიამ! — შემოესმა ძახილი. ჭიშკრისაკენ გაიხედა, ვერავინ შენიშნა.

— მარიამ! — ისევ გაიგონა.

— ვინ ბრძანდები?

— არჩილის წერილი მოგიტანე.

— შენ გაიხარე, შვილო! — ჭიშკრისაკენ წაფრატუნდა.

სოფლის ფოსტალიონმა ჭიშკარზე მიჭედილ თუნუქის ყუთში ჩააგდო წერილი და გზას გაუყვა.

— არჩილს ენაცვალოს დედა, იმისთანა ექიმი სულ არ მოიძებნება ქალაქში, ნამეტანს აქებენ. — ფოსტალიონის გასაგონად ჩაილაპარაკა, ოდაში შესვლისთანავე კონვერტი გახია, ელნათურის შუქზე წაიკითხა: „ჩემო დედა! ჩვენს ამბავს თუ იკითხავ, კარგად ვართ, ხშირად გიგონებთ. ჩქარა გესტუმრებით. შვებულებას მანდ გავატარებთ. გწერს შენი შვილი არჩილი“. მარიამი უცებ რატომღაც ცუდად შეიქნა, მთელი ტანი ცივმა ოფლმა დაუსველა, ხელები აუკანკალდა და წერილი გაუვარდა. საწოლთან ძლივს მიფლატუნდა, კიდეზე ჩამოჯდა, გაფართოებული, შიშჩამდგარი თვალებით ერთხანს წერილს უმზერდა. მერე წერილს ეცა, რკინიგზის ბაქნისაკენ წაჩაჩუნდა. იქ მარიამის მეზობლები ბათუმის მატარებელს ელოდებოდნენ.

— ავად ხომ არ ხარ? რატომ ძაგძაგებ? — ჰკითხეს მარიამს.

— ავად არ ვარ, ფოთს უნდა გავემგზავრო, — ყრუდ უპასუხა.

— ფოთის მატარებელი ხვალ დილისით ჩამოდგება.

— მთელი ღამე აქ რა გაგაძლებინებს? გაციებს?

— არ მაციებს, — ჯიბიდან წერილი ამოიღო და მისებრ პირხმელ დედაბერს გაუწოდა, — არჩილს მოუკვდეს დედა, ეს წერილი ცუდ რასმეს მეუბნება.

დედაბერმა სათვალე მოიმარჯვა, წერილი წაიკითხა, ტუჩები მოპრუწა, მხარი აიჩეჩა, მარიამს დააკვირდა, მერე ჰკითხა:

— შე ქალო, არჩილს სასიხარულო წერილი მოუწერია, ასე რამ შეგაშინა?

— რას იწერება არჩილი? — იკითხეს სხვებმა.

— რას იწერება? კარგად ვარო, ჩქარა ჩამოვალო, — მიუგო დედაბერმა და მარიამს მიუბრუნდა: — შენი ოდიდან ბაქნამდე ორიოდე ნაბიჯია, ხვალამდე აქ რა უნდა გააკეთო? წადი, ოფლი მოიდინე და ხვალ გამგზავრებაზე უარს იტყვი.

— დაუჯერე, ახლავე წადი, დაწექი, — ურჩიეს სხვებმა.

— არა, წავალ, მატარებელს დაველოდები, — თქვა მარიამმა, ამოიოხრა და მეზობლებს გაშორდა.

ბათუმის მატარებელი ჩამოდგა. ბაქანი დაცარიელდა, მოლარემ დაკეტა სალარო და წავიდა. ბაქანთან დარჩა მხოლოდ მარიამი. თვალი სულ იქითკენ ეჭირა, საიდანაც ფოთის მატარებელი უნდა გამოჩენილიყო. ლოდინში გული ელეოდა, ღამეს კი ბოლო არ უჩანდა.

როგორც იქნა გათენდა, მზე ამოვიდა, დილის პირველ საათზე ბაქანთან შედგა მატარებელი. მარიამმა ვერც ვაგონში მოისვენა, წრიალებდა, კვნესოდა, ხან ბოლთასა სცემდა, ხან ფანჯარასთან აიტუზებოდა და ამომშრალი თვალებით წერილს ჩაჰყურებდა. მისმა უცნაურმა ქცევამ მგზავრების ყურადღება მიიქცია, ჰკითხეს:

— რა გაწუხებთ? ავად ხომ არა ხართ?

ამ შეკითხვამ მარიამს გული თითქოს გაუთბო, კარგად ჩაცმულ შუახნის კაცს საცოდავად გაუღიმა, წერილი გაუბედავად მიაწოდა და გაინაბა: „აგი მაინც გაიგებს ჩემი გულის დარდს“, — ფიქრობდა.

— მზრუნველი, მოსიყვარულე შვილის წერილია, ვერ გამიგია, რატომ ღელავთ. კითხვა ხომ იცით?

მარიამი უცებ მოიბუზა და თვალები დაუწყლიანდა.

— შეურაცხყოფას რატომ მაყენებთ, ბატონო? „ვეფხისტყაოსანი“, ილია, აკაკი და ვაჟა სულ ზეპირად ვიცი, — წაილუღლუღა გულდაწყვეტილმა.

კაცმა წერილი დაუბრუნა და გადაწყვიტა—სკლეროზისაგან გამოჩერჩეტებულაო.

ფოთამდე ჯერ კიდევ დიდი მანძილი იყო, მარიამი ვაგონის კიბესთან დადგა.

— კიბესთან ნუ დგახართ, რომ გადავარდეთ, პასუხი მე უნდა ვაგო, — ალერსით მიმართა ახალგაზრდა კონდუქტორმა ქალმა.

— რა ეშმაკი გადამაგდებს, შვილო!

— ცუდი ფერი რატომ გადევთ?

— ჩემი შვილის წერილია, ჩემი ერთადერთი შვილის, წაიკითხე, — მარიამმა ათრთოლებული ხელით ჯიბიდან ამოიღო წერილი, ამოიკვნესა.

სანდომიანმა კონდუქტორმა დაკეცილი წერილი ფრთხილად გახსნა, წარბები შეიკრა, დაკვირვებით წაიკითხა, ხელმეორედ გადაიკითხა, შუბლიდან გადაიყარა ნაოჭები და მარიამს სიცილით უთხრა:

— ჩემო ბებიკო, უთუოდ ჩინებული მსახიობი იქნებოდი თავის დროზე.

— რა მიგავს მსახიობს? — გაცხარდა მარიამი, — ამ ხნის დედაბერს ეს უნდა მაკადრო? ფუ, შენს ქალობას...

„ამ საცოდავს სულ გამოლევია ჭკუა“, — გადაწყვიტა კონდუქტორმა.

მატარებელი შეღამებისას კივილით შეგრიალდა ფოთში. არჩილი სადგურთან ახლოს ცხოვრობდა. შვილის ბინის ფანჯრები განათებული რომ დაინახა, გულმა უმატა ძგერას, მუხლებში სისუსტე იგრძნო, კი არ მიდიოდა, მიფარფატებდა. სვენებ-სვენებით მესამე სართულზე ავიდა. კარი შვილიშვილმა — მაღალმა, მკერდგანიერმა, ოცდაორი წლის ჭაბუკმა გაუღო და ჯერ დაიბნა, თვალებში ნაღვლიანად ჩაშტერდა ბებიას, მერე ლოყები დაუკოცნა, სავარძელში ჩასვა და ცრემლმორეული ფიცხლავ გავიდა იმ ოთახში, სადაც ყვავილებით მორთულ კუბოსთან მარიამის რძალი ქვითინებდა. რძალმა რომ გაიგო, დედამთილი ჩამოსულაო, გაოცდა:

— ავადმყოფ მამაშენს ამ რამდენიმე დღის წინათ თბილი, გამამხნევებელი წერილი დავაწერინე და ბებიაშენს გავუგზავნე; ვშიშობდი — სოფლად ვინმემ არ ჩაიტანოს ცუდი ამბავი, მოხუცი კარს არ მომადგეს და ლოგინად ჩავარდნილი შვილი არ ნახოს-მეთქი. როგორ წარმოვიდგენდი, რომ წუხელ სამუდამოდ მიგვატოვებდა!.. განა ამას გვპირდებოდნენ ექიმები? რა თქვა რომ შემოვიდა?

— საცოდავად შემომაფეთა თვალები, ხმას არ იღებს, გრძნობს...

დედის გული...



მხატვარი დ. ზარაფიშვილი

მურმან ჯგუბურია

მომენატრა სოფლის შუქი,
მოწრიალე ფარჩხი,
საყვარელი ფერი შუკის,
მოციმციმე ცაცხვი.

ჩოჩქოლი და მოგროვება,
ხმელი ყანის ტეხვა,
ტყიდან ტახის მოგორება,
ქვაზე დანის ხეხვა.

მომენატრა სოფლის მწუხრი,
უჩუმარი ძმები,
საყვარელი ფერი შუკის,
მოღუშული მთები.

მზე ესვენება მწუსრის მთებში — მზე ფიქრიანი.
მოლზე კუნტრუშებს ხბო — ლამაზი,
თვალებწყლიანი.
ღამდება. ჭიშკარს მოაბლავლა ძროხამ მწუხარედ,
გააღეს კარი — გაიფანტა ბნელში ჭრიალი.
შემოფრატუნდა ბებრუხუნა ქოხში ნელიად —
ღამის სოფელში სიწყნარეა და სიბნელეა.
ოდებში ძილმა დაივანა — კარებს კეტავენ...
მე აქ არა ვარ, იქ არა ვარ, სად ვარ ნეტავი?

მიწის გორგალი, დაყურსული, სველი და მძიმე,
მაღალი ჭერი — ვარსკვლავების დიდი თავანი —
და ღამის მგზავრი — კენტი და მწირი —
ჩაფიქრებული, გაკმედილი, ჩუმად მავალი.

საით ეწევა უჩინარი ფიქრი ხორციელს?
საით მიდრკება, საით მიდის მსუბუქი მნათი?
ცვარი ადნება და ანათებს ბალახს მოცელილს,
და ჭალისპირა სანახეთში ციმციმი დადის.

რას გეუბნება ღამის სივრცე, რაა იქ, მაღლა?
რაზე ციმციმებს პაწაწინა სინათლის წვეთი?
შენ გრძნობ თუ არა, რომ ვიღაცა გიყურებს ახლა
და შეუმჩნევლად, შეუწყვეტლივ მოგყვება
გვერდით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხელმადლიანი ქართველი ქალები

საუკუნეთა მანძილზე თაობიდან თაობას გადაეცემოდა ჩვენი ეროვნული კულტურის დამწერლობითი ძეგლები, მაგრამ შემოსეულ მტერს წიგნსაცავები დავლათ მიჰქონდა, სწვავდა და ხევდა.

ქართველი ხალხი ჯართიდან და ნაცრიდან აღადგენდა იავარქმნილ ქალაქებსა და სოფლებს; ანახლებდა მონასტრებს, სკოლებს, სიძველეთა საცავებს. არაერთი ხელნაწერი და ძველი წიგნი გამოუტაციათ მათ მტრის ხელიდან, ხარჯი და შრომა არ დაუზოგავთ დაკარგულ ფურცელთა აღსადგენად, ხელნაწერისა თუ წიგნის ასაკინძავად.

სიძველეთა საცავებში დაცულ ხელნაწერებსა და ძველ წიგნებზე მინაწერებიდან ვგებულობთ ზოგიერთ იმ მადლიან ქართველ ქალთა სახელებს, რომელნიც დარაჯად უდგნენ საქართველოს სულიერი კულტურის განძეულს.

უნდა აღინიშნოს დადიანის ასულის — მარიამის ღვაწლი, რომელმაც მეათე საუკუნის ძეგლი გადაარჩინა დაააკინძვინა. ხელნაწერის მინაწერში ვკითხულობთ:

„ჩვენ ხელმწიფემა პატრონმა დადიანის ასულმა დედოფალთ დედოფალმა მარიამ, ეს წიგნი ურუმთ ქვეყნიდამ გამოვიხსენ და გავაახლე. დაშლილი და წამხდარი ჩემდა სადღეგრძელოდ და ცოდვათა ჩვენთა შესანდობლად“.

მარიამ დედოფალს თურქთაგან გამოსყიდული „მარხვანი“ ტყავის ყდაში ჩაუსმევინებია, რასაც სამოცდაცხრა ხბოს ტყავი მონდომებია.

ხელნაწერის აკინძვაზე უმუშავნია ჯაიანის ასულ ხანუმზესაც.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექციაში დაცულ „მეტაფრასს“ ასეთი მინაწერი აქვს:

„წმინდა ესე მეტაფრასი, დიაღ დაძველებული და დაშლილი იყო. მე, ჯაიანის ქალმან ხანუმზემ, დავაწყობინე“.

ლეკთაგან გაძარცული „მარხვანის“ აღდგენაზე უმუშავნია დარეჯან მაჩაბელს: „მე ცოდვილმან და ყოვლად ულირსმან მაჩაბლის ასულმან დარეჯან გავაკეთე. ურჯულოთაგან დაბნეული იყო ეს წმინდა მარხვანი, სულითა და ხორკითა მეუღლით, ძით და ასულითა ჩემთა განსაძლიერებლად და სასულიეროთა მომიხსენე, მეუფეო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა მცირეთა შეწევნით წმინდასა სამებას, ლეკთაგან გაძარცული იყო და იმასაც მეუღლემან ჩემმან, სახელგანთქმულმან დახურა ყოვლად წმინდის მარინისაც წმინდა გიორგის სასირეთის, იყო ურჯულოთაგან მოსვრილი“.

ქართველი ქალები სამშობლოს მამულიშვილებსაც უზრდიდნენ და ამავე დროს დიდ საერო საქმესაც აკეთებდნენ — აკვნის გვერდით წერდნენ და გადაწერას აწარმოებდნენ.

ადვილი წარმოსადგენია ის დიდი შრომა, რომელიც სჭირდებოდა თუნდაც სულ პატარა ხელნაწერის გადაწერას. ამიტომ გასაკვირი არ არის ის სიხარული, რასაც დამწერ-გადამწერნი განიცდიდნენ თხზულების დაწერისა თუ გადაწერის შესრულებისას.

ხელნაწერთა ინსტიტუტის ერთ-ერთი „კრებულის“ გადამწერის ანდერძში ვკითხულობთ: „ღვთისა დედაო, შემეწიე სულით და ხორცით ცოდვილს დედაკაცს, ბეჟან ერისთავის ასულს ანნას, წამკითხველთა ამა წიგნისათა გთხოვთ, თუ შეცდომა იხილოთ, მოტევებით მომიხსენიეთ მიზეზისა გამო პირველი, ესე მე დიდს სნეულებაში და უძლურებაში დავსწერე და ამისი დედანი ხელნაწერი კვაფრჩხილოვანი იყო და განა თუ მე ან მწერლობა ვიცოდი კანონიერი ან შეთხზვა სიტყვისა, მიზეზი ჩემი გულმოდგინებისა ჩემი პირმშო შვილი გაბრიელ ბერი-მონაზონი შეიქმნა. ამის დედანი მან მაცნობა და ჩემის სურვილით იმისგან მრავალნი წიგნნი არიან ჩემი შვილების სახლში და მეც ეს მცირე ვიგულისმოდგინე. სამთავე შვილებს შეეწიოს ღვთისა დედა და მეც მამიხსენონ მშობელი თვისი. სრულ იქმნა ივნისის ჰ/81, წელსა ჩყლდ (1834)“.

ზედგენიძის ასულმა ნინომ მეცხრამეტე საუკუნის ერთ-ერთი კრებულის გადაწერისას ბევრი იმუშავა ხელნაწერის ძნელად წასაკითხი ადგილების ამოკითხვისა და შეცდომების გასწორებისათვის. იგი მკითხველთა წინაშე ბოდიშობს, რაც მე ვერ შევნიშნე და ვერ გავასწორე, იქნებ თქვენ შეათავოთო. მოგვყავს ეს მინაწერი: „ზედგენიძის ასულმან ნინომ ვიშრომე და ვილვაწე წმინდისა ქალწულ-მოწამისა მარინასი. აღვწერე და ვიხილეთ ერთსა და მცირედ ნაწერი და მის ნაწერზე ვასწორეთ და ისე შევიკრძალეთ ნუსხითა, უკეთუ ნაკლებობა იხილოთ ან მთარგმნელისაგან ცდომილებითა და მიუხდომლობითა რამე შეგვემთხვეოდეს, სიყვარულისათვის ნუ საწყევარ და საგინებელი ვიქნები, თქვენ კეთილად მცნობნო და მიმხდომნო, უფალმან უწყის, რომლისა შემძლებელი ვიყავი, სიმართლესა და სიკეთესა ვცდილობდი, რომლითაცა შევიტყევი, გასწორებასა ვცდილობდი და რომელიცა ვერ შევიტყევი, დამრჩა გასამართავი არა თუ უსწავლელთა, არამედ: სწავლულთა და მეცნიერთა ვევედრები, რათა სიმშვიდითა, ჩვენ ზედა უდრტვინველად ყოველი ცდომილება ამა წიგნისა, ან სიტყვა, ანუ წინწილი გამართეთ“.

1809 წელს, ნინო ზედგენიძის მიერ გადანუსხულ „ვეფხისტყაოსანს“, გადამწერის შემდეგი ანდერძი აქვს დართული: „ნებითა და შეწევნითა ღვთისათა აღიწერა ესე „ვეფხისტყაოსანი“, სრული და უნაკლებო, ზედგენიძის ქალი ნინოსაგან, ვინც აღმოიკითხოთ ეს წიგნი, შენდობას მიბრძანებდეთ, ამინ“.

რუსთაველის უკვდავი პოემის ხელნაწერებს ამას წინათ ახალი ნუსხა შეემატა. ეს ხელნაწერი მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო არქივში იპოვა მკვლევარმა შალვა გოზალიშვილმა. ხელნაწერი 1812 წლის 10 ნოემბერს გადაუწერია ნინო მაისურაძეს: „წელსა ჩყიბ (1812) თვეს ნოემბერსა ი (10) ამ რიცხვში დაწერილი, მაისურაძე ნინო. პირველი ხელნაწერი არის და რაც შეცდომითა მამსვლია ნუ დამგმობთ“.

ეფემია სიმონის ასულმა ჯავახიშვილმა 1842 წელს გადაწერილ „ვეფხისტყაოსანს“ ასეთი ანდერძი დაურთო:

„აღიწერა წიგნი ესე ვეფხისტყაოსანი კეთილშობილის სვიმონ ჯავახოვის ასულის ეფემიასაგან წელსა ჩყმბ-სა (1842) მარიამობისთვის 3-სა დღესა“.

ასეთი მინაწერები უამრავია სიძველეთა საცავებში დაცულ ხელნაწერებზე.

მადლიერი ქართველი მკითხველი მუდამ ღირსეულად აფასებდა და აფასებს ქართველ ქალთა უანგარო შრომას. დაუვიწყარია ამ ქალთა ესოდენ დიდი ღვაწლი.

ლამარა ტატიშვილი



# სოხუმელ ოფთალმოლოგებთან

ალბათ, ყველას უცდია, ბავშვობაში მაინც, თავი ბრმად წარმოედგინა; თვალები დაუხუჭავს, უსინჯავს ორიენტაციით გაეგნო გზა, ხელის ფათურით შემოუვლია ეზო, ოთახი. მეტი ეფექტისათვის თვალებზე ხელი აუფარებია, რომ დახურულ ქუთუთოებში შეღწეული მზის სხივი დაებნელებინა. მაგრამ სრული სიბრმავის შეგრძნება გულზე ელდასავით დასტაკებია და თვალები სასწრაფოდ გაუხელია, სიცილი აუტეხია კაშკაშა მზის, ადამიანების დანახვაზე.

ყველაზე ძვირფასი, რითაც ბუნებას ადამიანი დაუჯილდოვებია, თვალის ჩინია, მაგრამ ვაი, რომ ზოგი მოკლებულია ამ ფასდაუდებელ საუნჯეს, ანდა, სენით შეპყრობილი, თანდათან ეთხოვება მას.

ასეთ ადამიანებს შველა სჭირდებათ, დაავადებას არ უნდა მიეცეს გაღრმავების საშუალება. სწორედ ამ შესანიშნავ საქმეს ემსახურება სოხუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს ოფტალმოლოგიური განყოფილება, რომელსაც სახელგანთქმული ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი სიმონ მიმინოშვილი ხელმძღვანელობს. სოხუმელ ექიმთან სამკურნალოდ უამრავი ხალხი ჩამოდის. ჩამოდიან სხვადასხვა რაიონებიდან, ქალაქებიდან და, ასე გასინჯეთ, რესპუბლიკებიდანაც კი.

რაშია სიმონ მიმინოშვილის ასეთი პოპულარობის საიდუმლო? იქნებ, მკურნალობის რაიმე ახალი მეთოდი აქვს შემუშავებული, რასაც სხვაგან არ იცნობენ?

მასთან სულ ორიოდე საათის დაყოვნების მერე ნათელი გახდა ეს მეთოდი — თავისი საქმის უზომო სიყვარული, ავადმყოფობისადმი ფრთხილი, ფაქიზი, შემოქმედებითი დამოკიდებულება, დაუღალავი შრომა, გამუდმებული ძიება ახლისა.

კედელზე უამრავი დიაგრამაა. დიაგრამათა უმეტესი ნაწილი დათმობილი აქვს თვალის ყველაზე ვერაგი მტრის — გლაუკომის აღწერას.

გლაუკომის მიზეზს, ძირითადად, თვალის შიდა სითხის ცირკულაციის დარღვევა წარმოადგენს და უფრო ხშირად ხანდაზმულ ადამიანებში გვხვდება. სენი შეუმჩნევლად მოცოცავს: გარკვეულ ასაკს მიღწეულ კაცს ჰგონია. წლების გამო მაკლდება მხედველობაო და ექიმთან მისვლას არ ჩქარობს, დაგვიანება კი ხშირად სიბრმავით მთავრდება.

ექიმ სიმონ მიმინოშვილის ხელმძღვანელობით 1958 წლიდან აფხაზეთში დაიწყო ლაშქრობა გლაუკომის წინააღმდეგ. დღეს რესპუბლიკის თითქმის მთელი მოსახლეობა (30 წლის ასაკიდან დაწყებული) შემოწმებულია ამ დაავადებაზე. მედიცინაში მომავალი პროფილაქტიკას ეკუთვნის. სწორედ ამის უტყუარი ნიშანია ის, რომ ბოლო წლებში აფხაზეთში საგრძნობლად შემცირდა გლაუკომით დაავადებულთა რიცხვი.

დიდი ღონისძიების ერთ-ერთი ენთუზიასტი და თაოსანი გახლავთ მედიცინის და ნადეჟდა კოსტიუკოვა. კოსტიუკოვამ ამ დარგში აღზარდა და დაახელოვნა ექთანები ქ. ცინცაძე, ლ. ხასაია, ნ. ავეჩკინა, ნ. შინკუბა, ვ. ეთერია და სხვები. ამათგან ნაწილი სოფლის სამედიცინო პუნქტებში მუშაობს და ადგილზე ახდენენ მოსახლეობის შემოწმებას.

გარდა ადგილობრივი მოსახლეობისა, სისტემატურად ისინჯება სანატორიუმებში სამკურნალოდ ჩამოსულ პირთა მხედველობაც.

ექიმ ს. მიმინოშვილის მაგიდაზე უამრავი ანკეტა აწყვია. ანკეტის ბოლოს, თითქოს ბეჭედი დაურტყამთო, სისხლისფერი რგოლებია შემოხაზული. ეს არის სპეციალური ხელსაწყოს — ტონომეტრის ნიშანი, რომელიც თვალის ფსკერის წნევას ზომავს. რაც უფრო განიერია რგოლის სარტყელი, მით უფრო საგანგაშოა მდგომარეობა. ზოგიერთ ანკეტას კონვერტი ახლავს თან. წერილში მადლობას იხდიან, თავის ამბავს, დაავადების მიმდინარეობას, სიხარულს თუ უიმედობას ატყობინებენ შავიზღვისპირა სანატორიუმებში ოდესღაც ნამკურნალები ადამიანები. რომელთაც მოულოდნელად, უღრუბლო ცაზე მეხის გავარდნასავით, მეიტყვეს, რომ ეწყებათ თვალის დაავადება, რომლის სახელია გლაუკომა.

„ძვირფასო სიმონ ნიკოლოზის ძევ და ნადეჟდა ნიკოლოზის ასულო, ულრმესი მადლობა იმ დიდი სითბოსა და სიყვარულისთვის, რომელსაც თქვენ ადამიანებისადმი იჩენთ. თქვენი წყალობით შევყურებ დღეს მე მზეს. სწორედ თქვენ მომეცით საშუალება თავიდან ამეცილებინა მოსალოდნელი კატასტროფა...“

წერილის ავტორია ყაზანელი ლუდმილა ბელიაევა.

აქვეა წერილები ბელორუსიიდან და უზბეკეთიდან, მოსკოვიდან და ლენინგრადიდან. ნ. კოსტიუკოვას მიერ ფაქიზად გაკეთებულ პაკეტებში აწყვია ეს წერილები და ანკეტები, ექიმისა და მისი თანაშემწის კეთილშობილი საქმის შედეგი.

გლაუკომასთან ბრძოლა ნომერი პირველი პრობლემაა სოხუმელი ოფტალმოლოგებისათვის, მაგრამ აქ წარმატებით მკურნალობენ თვალის სხვა დაავადებებსაც, როგორიცაა სიელმე, თანდაყოლილი და შეძენილი ახლომხედველობა, ასაკობრივი ცვლილებები და სხვ. ს. მიმინოშვილის გვერდით წარმატებით შრომობენ ექიმები: ფ. ბერია, შ. ბაღათურია, ი. ივანოვა, ა. ცხადაია, ა. შურღაია, მ. თოდუა, გ. გასპარიანი, ვ. რაფავა და სხვები. ეს არის ერთი საქმისათვის მჭიდროდ შეკრული კოლექტივი.

დიდი რუსი სპეციალისტის ვ. პ. ფილატოვის მოწაფე ს. მიმინოშვილი ღირსეულად აგრძელებს თავისი სახელოვანი მასწავლებლის ტრადიციას, რომელსაც ღრმად სჯეროდა, რომ „არ არსებობს განუკურნებელი სენი, არის მხოლოდ ისეთი დაავადებანი, რომელთა მკურნალობაც ჯერ არ ვიცით. არასოდეს არ უნდა გადავწუროთ იმედი, საჭიროა ბოლომდე ბრძოლა“.

ს. მიმინოშვილი 28 მეცნიერული შრომის ავტორია. მის მიერ შეთავაზებული მეთოდი სიელმის ოპერაციისათვის — „ოპერაცია რეცესის მოდიფიკაცია“ — წარმატებით დაინერგა პრაქტიკაში.

სოხუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს ოფტალმოლოგიური განყოფილების კოლექტივი მეცნიერული ძიების მეუმცდარ გზას ადგია.

**ნ. ცაგარეიშვილი**

# ქართული ცირკის მსახიობები



ნანა მელქაძე

...აინთო ცირკის ჩირაღდნები. გაისმა მუსიკის გემპიანი ჰანგები. სარბიელზე შვიდმა მხედარმა შვიდი მერანი შემოაგელვა. გაიმართა ცეცხლოვანი ჯირითი. ალვირმიშვებულ ცხენებზე მხედრებმა რამდენიმე რთული ილეთი შეასრულეს და ომახიანი შეძახილებით დატოვეს მანეჟი.

მუსიკამ ტემპს უმატა. კულისების სიღრმეში შვიდეულს ერთი გამოეყო, დეზი ჰკრა ქურანს და მოაჯირზე გადააფრინა. მოედნის შუაგულში სადავე მოზიდა, ცხენი მუსიკის რიტმში ჩააყენა, თვითონ კი უნაგირზე ყირა გაჭიმა, სწრაფად ჩამოხტა, ისევ ზურგზე მოექცა, მერე ფეხით დაეკიდა უზანგს და მანეჟი ორჯერ შემოიარა. ისევ მოსწია სადავეები, აიწია და... უნაგირზე მოექცა, მხედარმა თეთრი ჩაბალახი მოიხადა და გრძელი თმის კულულები მხრებზე დაეფინა.

დარბაზში აღტაცებული შეძახილი გაისმა:

— ყოჩაღ, ნანა მელქაძე!

ქალიშვილი მსუბუქად ჩამოხტა ცხენიდან...

...ნანა 14 წლის იყო, ცხენზე ჯირითი რომ დაიწყო. კალათბურთსა და ტყვიით სროლაშიც არ ჰყავდა ტოლი. შემდეგ სპორტულ საზოგადოება „კოლმეურნეში" აღმოჩნდა. მის მწვრთნელს გ. ივანიძეს არ დაუკლია ზრუნვა და ცხაკაიელმა ქალიშვილმა ჯერ კიევში, შემდეგ ფრუნზეში ორჯერ მოიპოვა ჩემპიონობა ცხენოსნობაში. შარშან ნანა მელქაძეს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიანიჭეს.



ნათელა ბაგაური

1967 წელს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ნათელა ბაგაურმა ცირკის სარბიელზე შედგა ფეხი. მაშინ მსახიობ ჰამლეტ ნატროშვილის ხელმძღვანელობით იქმნებოდა ახალი ნომერი — ფრენა ბატუტზე. ნათელა ბაგაურიც მის ჯგუფს შეუერთდა. ჯგუფი დაულალავად ვარჯიშობდა, გადიოდნენ წვრთნას და ორი თვის შემდეგ ნათელა ბაგაურმა ნომერს სილამაზე და ეშხი შემატა: იგი ჰაერში აკეთებს ერთნახევარ სალტოს, პირუეტს, კოხტად და მოხდენილად ხტუნავს ბადეზე.



ლუდმილა ლალაშვილი

საცირკო ხელოვნებაში ერთ-ერთ რთულ ჟანრად მავთულზე ეკვილიბრისტიკა ითვლება. ეკვილიბრისტის ძირითადი იარალი დაჭიმული და თავისუფალი მავთულია. დახრილი, ორმაგი და ორიარუსიანი მავთული კი მის სახესხვაობას წარმოადგენს. მსახიობი ლუდმილა ლალაშვილი ამ რთული ჟანრის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატია. იგი მოშვებულ მავთულზე თავისუფლად, მსუბუქად დადის, ცეკვავს ყველა ვარიაციით.

ლუდმილას ხელოვნების სიყვარული პატარაობიდანვე გაელვიძა, საშუალო სკოლაში, სწავლის პარალელურად, მუსიკას და ცეკვას ეუფლებოდა, გატაცებული იყო სპორტული ტანვარჯიშით.

1945 წელს იგი „ლოკომოტივის" სპორტულ სკოლაში შევიდა, აქ მიიღო პირველი თანრიგი. ორი წლის შემდეგ საცირკო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელში მოეწყო და 1951 წელს წარმატებით დაამთავრა.

დღეს ქართულ ეროვნულ სტილიზებულ კოსტუმში გამოწყობილი ლუდმილა მბრუნავ, თავისუფალ მავთულზე დაირით ცეკვავს, ფორთოხლებით, ხანჯლებით, რგოლებითა და სხვა საგნებით ჟონგლიორობს.

დები გოლიაძეები

ეს ქალიშვილები ძველი ცირკის მსახიობების ივანე და დარია გოლიაძეების შვილები, შვილიშვილები და რძლები — მათი პროფესიის გამგრძელებლები არიან. ისინი თავისუფალ კიბეზე ასრულებენ ეკვილიბრისტული ჟანრის ურთულეს ნომერს, ხელმძღვანელია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნიკოლოზ გოლიაძე.

ნიკოლოზი 18 წლისა იყო, როცა შექმნა ეკვილიბრისტული ნომერი და თავისი დის — ვერონიკას პარტნიორობით გამოდიოდა სარბიელზე. ახლა ამ ნომერს მათთან ერთად ასრულებენ ნიკოლოზის შვილები, რძალი, შვილიშვილები. დღეს გოლიაძეების ხელოვნება ანცვიფრებს ათასობით მაყურებელს. ამ ჯგუფის ერთი ნაწილი მანეჟზე სხვა ჟანრითაც გამოდის. დები: სვეტლანა, რაფაელა, ვიქტორინა და თამარ გოლიაძეები მხატვრულ აკრობატულ ნომერს ასრულებენ. მათი პლასტიკური ეტიუდები და რთული პირამიდები დიდ მოწონებას იმსახურებს.

აღსანიშნავია, რომ ცნობილმა ინდოელმა კინომსახიობმა და რეჟისორმა რაჯ კაპურმა დები გოლიაძეები ბომბეიში მიიწვია თავის ფილმში მონაწილეობის მისაღებად.





ელენე ცხომელიძე

საცირკო ხელოვნების მოყვარულებს ალბათ ახსოვთ ცნობილი მსახიობი, რსფსრ დამსახურებული არტისტი ალექსი ცხომელიძე, რომელიც ჯერ კიდევ რევოლუციამდელ ცირკში მუშაობდა იყო, ცხენოსანიც, ჟონგლიორიც, კლოუნიც. მან ბედი ცხოველების გაწვრთნაშიც სცადა, სხვადასხვა ჯიშის ძაღლებს ასწავლიდა „მსახიობობას" და თავისი მეუღლის — ელენეს ასისტენტობით გამოდიოდა ცირკში. 1960 წელს კიევში საგასტროლოდ ყოფნის დროს ა. ცხომელიძე გარდაიცვალა.

ახლა მანეჟზე ქართულ განსაცმელში გამოწყობილი ელენე გამოდის და მაყურებელი ყოველთვის გულთბილად ეგებება. საინტერესოა მისი ნომერი:

სარბიელზე მოგორავს ეტლი, მას დინჯად მოყვება ქართული ურემი, რომელშიც შებმული არიან ნილაბაფარებული ძაღლები. ისინი მეეტლებიც არიან და მეხრეებიც.

ელენეს ნომრის ერთ-ერთი საუკეთესო „მსახიობი" შპიცის ჯიშის ფინიაა. სპეციალურ ფიცარზე დამდგარი პატარა „ვირი" მანეჟზე გამოჰყავთ. იგი „ესპანური ნაბიჯით" დადის მოაჯირზე, აკეთებს პირუეტებს. შემდეგ სარბიელის ცენტრში ეცემა და აღარ ინძრევა, სახედარივით ჯიუტობს. ცხოველს ანჯღრევენ, კუდით და ფეხით ათრევენ, მაგრამ ამაოდ. კლოუნი ს. თედიაშვილი იწყებს გულამომჯდარ ტირილს, დარბაზი იცინის, — „ვირი" ცოცხლდება და მანეჟის ირგვლივ კუნტრუშობს. დასასრულ, ასისტენტი ხდის მას სახედარის კოსტუმს და ბამბასავით თეთრი ფინია ტოვებს მანეჟს.

საბჭოთა საცირკო ხელოვნება უკანასკნელ წლებში თვალსაჩინოდ განვითარდა. შეიქმნა ცალკეული, ეროვნული კოლექტივები. ათასობით საბჭოთა მსახიობმა მოიპოვა მსოფლიოს მანეჟზე პირველი ადგილი. ამ დიდ შემოქმედებითს წარმატებაში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის ქართულ საცირკო დასს. არსებობის თერთმეტი წლის მანძილზე მან საბჭოთა და უცხოელ მაყურებელს ეროვნული კოლორიტით სავსე საცირკო პროგრამა უჩვენა. ქართულ საცირკო დასს შესანიშნავი მსახიობი ქალები ჰყავს. აი ზოგიერთი მათგანი:



ნადია ნიკოლაძე

ქართული ცირკის დასის ყველაზე ახალგაზრდა წევრია, იგი ცირკში რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა გურამ გარსევანიშვილმა მოიყვანა. ნადიას სპორტული ფორმა, ელასტიკური მოძრაობა ძალზე მოეწონა გურამს და მასთან ერთად მოკლე დროში მოამზადა ლამაზი აკრობატული ნომერი. ახლა ნადია სწრაფად და ოსტატურად ასრულებს თავის ილეთებს.

***

ქართულ დასში სხვა ქალებიც მუშაობენ. ესენი არიან ტანმოვარჯიშე ტანია მოქია, მოცეკვავე ნანა ჩომახიძე, ასისტენტი ზოია დადეშქელიანი და სხვები. მათი ოსტატობა მაყურებელთა დიდ მოწონებას იმსახურებს.

ვ. ნიკოლაიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მოსაგონარი

# დარია ახვლედიანი

მწერალი ქალის — დარია ახვლედიანის სახელი კარგად არის ცნობილი ლიტერატურული საზოგადოებრიობისათვის. მის სახელთანაა დაკავშირებული მრავალი საინტერესო საზოგადო თუ ლიტერატურული წამოწყებანი. მის ირგვლივ იკრიბებოდნენ როგორც ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლები, ასევე ახალგაზრდობა. და ყველა მათგანი აღფრთოვანებული რჩებოდა დარიას პოეტური ნიჭით, კეთილშობილებით, ენერგიითა და ენთუზიაზმით. დარია ახვლედიანის ცხოვრება და შემოქმედება სამართლიანად იმსახურებს პატივისცემას და იმას, რომ უფრო უკეთ გაეცნონ მას, არ მიივიწყონ და მისაგებელიც მიუგონ. სამწუხაროა, რომ დღეს ბევრისთვის მისი სახელი უცნობია. ჩვენი ვალია ჩრდილიდან გამოვიყვანოთ ეს საინტერესო მწერალი ქალი.

სწორედ ამ მიზნით საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში ამას წინათ მეტად გულთბილი საღამო ჩატარდა. საღამო დარია ახვლედიანის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. მწერალთა კავშირის მდივანმა, კრიტიკოსმა ბესარიონ ჟღენტმა თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა დარია ახვლედიანის დამსახურება და დაახასიათა მისი შემოქმედება. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ნინო ჩიხლაძემ ფართოდ გააშუქა ამ მეტად საინტერესო და ნიჭიერი პოეტი ქალის ცხოვრება. სიტყვებით გამოსულმა მწერლებმა მოგონებებში გააცოცხლეს დარია ახვლედიანი — ქართული ლექსის ერთი უზომო ტრფიალთაგანი, კეთილი, სამართლიანი, ჩუმი და უანგარო მოღვაწე.

მისასალმებელია საქართველოს მწერალთა კავშირის ეს ღონისძიება. იმედს გამოვთქვამთ, რომ ქართული პოეზიის თაყვანისმცემელნი მალე იხილავენ დარია ახვლედიანის უპრეტენზიო, მაგრამ წრფელი ლექსების წიგნს.

ა. გოგიაშვილი

### ნაძვის ხე

პაწაწინა ნაძვის ხე
ზაზას ხელში უჭირავს,
„გვაჭამეო“, — ეხვეწება
ბეკეკა და ფუჩინა.

### ნიწკანა და შაშვი

— შავო შაშვო,
მითხარი,
რა დაწერე
ქაღალდზე?
— ბებოს
ბარათს ვუგზავნი,
მივულოცავ
ახალ წელს.

ქეთევან მიქაძე

### ნაძვის ნაამბობი

ნაირფერად სოკოებს,
ახლადშობილ პატარებს,
ჩემი მწვანე ტოტები
ქოლგად გადავაფარე.
ალბათ ჩემი ტოტები
წვიმას მაინც ატარებს,
რაკი თავის ქოლგებიც
გაუშლიათ პატარებს.

ნუნუ ლაღიძე

### ასე რამ გაგახელაო?

ჩემო ძამიკო გელაო,
ასე რამ გაგახელაო?!
— რაა და ჩემმა მურიამ
თავს მეხი დამატეხაო,
ბებოსთან წასვლა მინდოდა,
ცხენს ფეხი მომიტეხაო!

### სკოლიდან რომ დავბრუნდები

სკოლიდან რომ დავბრუნდები,
თან მოვიტან ხუთებს.
დედა ძლიერ გაიხარებს,
გულში ჩამიხუტებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტრადიციები არ კვდებიან

ამას წინათ გაზეთ „თბილისში“ ერთი განცხადება წავიკითხე. საზოგადოება „ცოდნის“ ქალაქის განყოფილება იუწყებოდა, რომ შედგებოდა ნატალია კანდელაკის საჯარო ლექცია თემაზე „საქორწილო წესჩვეულებანი ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში“... უცებ გამახსენდა თურქეთი, სტამბოლი, შეხვედრები იქაურ ქართველებთან და საუბრებში გათენებული ღამეები. რა დამავიწყებს მათ! ეს ხომ ჩვენი ისტორიის ცოცხალი ფურცლებია, ერის ცხოვრების წარუშლელი მატიანე.

დიდებული აია-სოფიას ჩრდილში ვზივართ ორნი. ჩემი თანამოსაუბრე ოსმან გ-ძეა, რომლის „უწინდელთა“ თუ „დიდვანთა“ (როგორც იგი წინაპრებს ეძახის) მრავალი თაობა თურქეთში დაბადებულა. ჩვენი საუბარი შეეხება საკითხებს, ქართველი კაცის ცოდნისმოწყურებული ინტერესი რომ იწვევს. ოსმანი მიამბობს, მე კი სულგანაბული, გამალებით ვიწერ. ცოტა არ იყოს, აოცებს ჩემი უსაზღვრო ინტერესი ქართველთა ყოფა-ცხოვრების შესახებ და ისიც, რომ ყველაფერს ვიწერ. შიგადაშიგ თხრობაში ჩაურთავს: „რას ჩხაბავ მაგ დევთერს?“ — მერე აგრძელებს თავის თხრობას. ანაზდად იქაურ „გურჯთა“ საქორწილო წეს-ჩვეულებებსაც შეეხო...

— ოსმან, ცოლ-შვილიანი ხარ?

— არა, ეფენდი, მე ჯერ არ დავსახლებულვარ.

— ისე, ალბათ, გულის სწორი შერჩეული გეყოლება, ხომ ქართველია?

— მასეა, ეფენდი, მარა მაალესეფ (სამწუხაროდ) ჯერემ მააში (ხელფასი) პაწაი მაქ და დასახლების მეშინია. ოჯახი დიდი ჭეირთია და ვერ ვარჩენ. ისე კა ჩვენები მრევლს მქირდვენ.

— ჩემო ოსმან, გუშინ ერთი მოხუცი გურჯი ქართულ ანდაზებს მიყვებოდა და მისი სიტყვებით გეტყვი — პირს კოცნა უნდოდეს, ცხვირი არ დაუშლის, ან ძილს ბალიში არ უნდა და შიმშილს კატული (საკმაზი), ხომ გაგიგონია?

— წორია, ჩემ თავ მეც უბლეჟდები( უბრაზდები), მარა რა ვქნა, ფუხარაი (ღარიბი) ვარ, თითონ წელში ვერ გავმართულვარ, საქმე გონჯად მიმდის, ჩემზეა თქმული, წიფეს ვესრი და ჭახე ცივაო.

საუბრის მიმართულებას ვცვლი:

— როგორია თქვენში გათხოვება-მოყვანის წესი, თურქებს თუ ემოყვრებით?

— ჩვენი გურჯი გოგუები აქ ძალიან დაწონან, ეფენდი. გურჯი ქალი თურქიეს (თურქეთში) მეტი სილამაზით და ჭკუითაა ქობული. ახლაც, აქ, ლამაზ ვინმეს რომ ნახვენ, თქვამენ: „გიურჯუ გიბი გიუზელდისო“ (ქართველივით ლამაზიაო). ყველას უნდა იმგენის თხოვნაი. მარა გერჩეკი (ნამდვილი) გურჯი კუდიანს (თურქს) ქალ არ მისცემს. ერთმანეთში ვქორწილობთ.

— განა ქართველი ახალგაზრდები თურქ ქალიშვილებს არ თხოულობენ?

— მაგ ქალაქად ხდება, ეფენდი. მაგფერ გურჯს რტყმაი უნდა.

— ?

— ჩვენი დიდვაანები იტყოდნენ: სანამ ნენეი გურჯი გვყავს, ჩვენც გურჯები ვიქნებითო. ამ წესს უნდა მივდევდეთ წვიტებიც.

— ქორწილის ადათი ქართული შემოგრჩათ?

— არ ვიცი, ტადა (უფროსი ძმისადმი საპატიო მიმართვა), მე დიდ ადგილს (საქართველოში) გამართული ქორწილი არ მინახავს ქი? (რომ არ მინახავს?). აგერ მოგიყვები და შენ მიხთი:

შაბათ საღამოს ქალის სახში ხისიმებს (ნათესავებს) დავპაიჯებთ. იმ ღამეს მოწვეულ სტუმრებს საჭმელ მივცემთ, რახის სმენ. გათენდება კვირა დღე, კიდონ დელიყანლები (ახალგაზრდები) მეიკრებიან, დევიწყებთ ქორწილს. შუადღე მოვა, თელი საჭმელი მივცემთ. საჭმელ ჭამენ, მოთავდება. კიდონ დევიწყებთ სამას (ცეკვას), მუზიკას უკრით, ტაშს დავარტყამთ, ვისამებთ ფერხულს, „ჰორონს“ (ხორუმს).

დაღამდება. დედოფალს შევაჯდუმებთ არაბაზე (ურემზე) ან ცხენზე. დევწყებთ სიმღერას. დელიყანლები სახლიდან გამოსლიხან, დედოფალს ამ სიმღერაით გამოიყვანებენ:

„მიხვალ-მოხვალ მენანები,
სასიკტილოთ მებრალები.
ჰარირამბა ჰოო...“

ერთი ამბობს წვიტი ხმით, სხვაი სამი ბანით. კიდონ იღმერებენ:

„ღელე-ღელე ევიარე,
ღელე ტალახიანი,
ერთი გოგო შემეყარა,
ძუძუ ბალახიანი“.

ან თირინნი ჰორერამას იტყვიან:

ჯუჯუხეთიდან ჩამველი, თირინნი
ჰორერამა,
ფაცელავა გეხვეწები,
გადამეხვეი ყიაში, და სხვა.

სიძის სახლში რომ მივლენ, გოგოს ხისიმები მაყარჯობა იქმენ (უცებ თხრობას წყვეტს და მეკითხება: თქვენში მაყარჯობა იციო?). სიძეს ბევრი რაცხები თხოვენ (უმეტესად იმას, რაც იმ დროს ძნელად საშოვია). ამას მღერაია ეტყვიან:

იევრი და მოსვი იესა და ვორი და ვორი რაი და ვო ალალო.

ხუთი ოყა ვაშლი, ერთი ქილე ჯიგარა (პაპიროსი).

ცოცხალი თევზი ორი-სამი თავი, ათი ოყა კაკალი.

ხუთი ექსი ქათამი, ოცდახუთი ხაჭაპური მეიტათო.

და იევრი და მოსვი იესა და ვორი და ვოი რირაი.

და ვოი ალალოი იევრი და იალლა ვოი.

სიძის თარაფი (მხარე) ეხვეწებიან გელინოს (პატარძლის) თარაფს, გულის გუუკეთებენ. გოგოს თარაფი თხოვს სამი-ოთხი ქათამი, მაყარჯობა გათავდა. გოგოს ხისიმები იმ ღამი ქათმები დაკლიან, შეჭერის ფარა (ფული), იაღის (ერბო) ფარა სიძეს აართმევენ. შუაღამეს დელიყანლები ქათმები მოხარშამენ, მოხრაკებენ, ჰელვას (ხალვას) დაწვებენ, კიდონ მასპინძელი პურს „ჰერისა“ ნაყავენ სანაყავში, მერე ხარშამენ, შაქარი ურთმენ, იქნება ტკბილი, იმის უკან სტუმრები ისიც შეჭამენ და დეიპანტვიან.

გელინო რჩება სიძეს. მეორე დილით გელინოი მოვლაზე მოვლენ ბიჭის ხისიმები. სამი დღეს უკან სიძეი და გელინოი წავლენ გელინოს ბაბას (მამას) სახლში სიძობაზე, ფეხნაქცევს ვეტყვით კიდონ ამას. იქ სიდედრი და სიმამრი საჭმელს გაახაზირავს. სიძე ერთი ორი ემიაშვილს (ბიძაშვილს) წეიყვანს. საჭმელს ჭამენ, შესმენ და ემიაშვილები სიძეს სიმამრიდან და სიდედრიდან თხოვებენ ნებას გაატანონ გელინოი. ადეთით გელინო იმ ღამ ნენეის და ბაბას ოდაში ვერ დარჩება .სამი-ხუთი საათის უკან სტუმრები ტოვებენ მასპინძელს.

ოსმანმა თხრობა დაასრულა. სიჩუმე ჩამოვარდა. ერთხანს მდუმარედ ვიჯექით, ფიქრში წასულნი. შემდეგ ოჯახში მპატიჟებს:

— ერთი დღე მოხვიდე უნაო, — თქვეს ნენემა, ბაბამა. — ერთ ღამ შინ დავდგეთ. ოდაში სუფრას გავაწყობ. ჭადია, ლობიოა, ერბოა, მაწონია, თელი სოფელმა უნა გნახოს.

— ოსმან, გვიან ღამით გემი ჩვენს საქართველოში წამიყვანს.

თვალებში ნაღველი ჩაუდგა. ნიკაპი აუთამაშდა.

— ჩემი დედეი (ბაბუა) ამბობდა: გურჯისტანი მეტი კაიაო. უნა ნავხო, გულში მაქ! — და ათრთოლებულ ხელს მიწვდის. მემშვიდობება:

— მარჯვედ იყავი!

—მშვიდობით, ჩემო ძმაო, გამარჯვებით გველოს!

ნ. კომახიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რაზე იღიმებოდნენ წინათ

„პარიჟის ქალებს ახალი მაიმუნობა, ახალი მოდა შემოუღიათ—თმას მუქ წითელ ფერად იღებავენ. უკანასკნელ ბალებსა და მასკარადებზე ბევრი ქალი ყოფილა ასე თმა-შეღებილი“.

**„ივერია“, 1889 წ. 25 მარტი.**

„საბრალო სიდედრნი, რომელნიც ყველგან სძულთ, ყველგან ჰმტრობენ, ასე წარმოიდგინეთ, სან-ფრანცისკოშიც-კი აძულებულები ჰყოლიათ! ერთი იქაური გაზეთი აი რასა სწერს სხვათა შორის: მთავრობა იძულებული შეიქმნა ახალი კანონი გამოეცა, რომლის ძალითაც იმ ცოლ-ქმართ, რომელნიც დედამთილთან სცხოვრობენ, 600 მან. უნდა გადაიხადონ, ხოლო, რომელნიც სიდედრთან—900 მანეთი! თუ ვინიცობაა ისე მოხდა, რომ ერთს ოჯახში სცხოვრობს დედამთილიცა და სიდედრიც, მაშინ გადასახადი 6.000 მანეთამდე ადის. ამის გარდა გარდასახადივეა დანიშნული ბიძაშვილებზე და სხვა ნათესავებზედაც. ახალმა კანონმაო, ამბობს ოფიციალური გაზეთი „უნდა დაიცვას და დაიფაროს ცოლ-ქმართა ოჯახში მშვიდობიანობა და წესი და რიგიო“. ამ კანონის გამომწვევ მიზეზად იმას ასახელებს ეს გაზეთი, რომ როგორც სასტატისტიკო ცნობებიდგანა სჩანს, სიდედრია უმეტესად ბრალეული, თუ ცოლ-ქმარნი ერთმანეთს შორდებიან და ან თუ ერთი მათგანი თავს იკლავსო“.

**„ივერია“, 1889 წ. 25 ოქტომბერი.**

„კარგად მოგეხსენებათ, რომ ამერიკაში განქორწინება და თოხლო კვერცხის გადაყლაპვა ერთია. მაგალითებრ, უკანასკნელ ოც წელიწადს შეერთებულს შტატებში 328.716 ცოლ-ქმარი განქორწინებულა. რას გაუყრია ეს ერთ სულ და ერთ ხორცგარდაქმნილი ადამიანები, რა გაჰხდომია ამათს განცალკევებას მიზეზი და საბაბი? აი, სხვათა შორის, რა: ქმარს ცოლისდა გაულანძღავს; ქმარს თამბაქო ულეჭია. ქმარს თავის ცოლის გიშერა ძაღლისათვის პანჩური ამოუკრავს. ქმარს ცოლისათვის შუბლზე ბუწუწები აუჭრია. ქმარს რამდენჯერმე უარი უთქვამს და ცოლს თან არ გაჰყოლია სასეირნოდ, ქმარი სახლში შუაღამის შემდეგ დაბრუნებულა და ცოლი არ დაუძინებია თავისი ლაპარაკით. ცოლს ქმრისთვის პერანგზე ღუგმა არ დაუკერებია. დილით ადრე არ ამდგარა. თავის ქმრისთვის ცეცხლთან გათბობის ნება არ მიუცია, როცა შეციებული დაბრუნებულა კაცი სახლში. ცოლი ხშირად დადიოდა სტუმრად და ოჯახსა და ყმაწვილებზე რიგიანად არ ეჭირა თვალყური და სხვა და სხ. ქართველებშიაც რომ ყველა ეს მიზეზი საკმარისი იყოს განქორწინებისათვის, მთელს საქართველოში ცოლ-ქმარი ან კი სანთლით იპოვებოდა და სადმე?!

**„ივერია“, 1890 წ. 20 თებერვალი.**

„გესსენში გადაუწყვეტიათ გარდასახადი დაადონ იმ ყმაწვილ კაცებს, რომელნიც ცოლს არ შეირთავენ. ამ ამბავმა ბევრი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ერთმა ადგილობრივმა გაზეთმა ამ დღეებში გამოაცხადა: ვიწვევთ საზოგადო კრებაზე იმ უცოლშვილო კაცებს, რომელნიც 21 წელიწადს არიან გადაცილებულნი. კრებაზე ლაპარაკი იქნება იმ განზრახული კანონის შესახებ, რომლის ძალითაც უცოლოებს გარდასახადი უნდა დაედოთ. გთხოვთ იმათ, ვისაც უკვე გადაწყვეტილი აქვს ცოლის შერთვა, კრებაზედ ფრაკით მოვიდნენ, რათა შეგვეძლოს ისინი სხვებისაგან გავარჩიოთ“.

**„ივერია“, 1899 წ. 20 ივლისი.**

„ნიუ-იორკში დაარსებულა ერთი ახირებული საზოგადოება, რომლის წევრებად მხოლოდ გასათხოვარი ქალები არიან. საზოგადოებას აზრადა აქვს ცოლები შერთოს კუზიანებს, კოჭლებს, უხელოებს, ბრმებს და სხვ. საზოგადოების წევრად მიიღებიან გასათხოვარი ქალები და ქვრივები 30 წლამდე. ამასთანავე ეს ქალები სრულიად ჯან-საღნი უნდა იყვნენ. საზოგადოების წევრს ქალს ხელ-წერილს ართმევენ, რომ იგი მოვალეა მხოლოდ მახინჯსა და ბუნებით დაჩაგრულ კაცზედ გათხოვდეს“.

**„ივერია“ 1897 წ. 3 აგვისტო.**

## ჩვენი საოჯახო კლუბი

პედიატრის რჩევა

# ნეფრიტი

თირკმელების ორმხრივი ანთებითი დაზიანება ანუ დიფუზური ნეფრიტი ბავშვთა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული დაავადება, როგორ სიმძიმის, ისე შედეგის მხრივ.

დიფუზური ნეფრიტის განვითარებას უფრო ხშირად ინფექცია იწვევს. ამჟამად, ჰოსპიტალიზაციის საუკეთესო ორგანიზაციისა და ანტიბიოტიკების ფართო გამოყენების გამო, ქუნთრუშის ხვედრითი წონა ნეფრიტის განვითარებაში საგრძნობლად შემცირდა. მთავარი ადგილი დაიჭირა ზემო სასუნთქი გზების დაავადებებმა. ანგინამ, ქრონიკულმა ტონზილიტმა, რასაც თან სდევს ორგანიზმის სტრეპტოკოკებით ინფიცირება. შედარებით იშვიათად ვხვდებით ნეფრიტებს, განვითარებულს სხვა დაავადებების შედეგად.

ნეფრიტის კლინიკური სურათის სიმძიმე დაკავშირებულია მწვავე ინფექციურ, დაავადებათა სიხშირესა და ქრონიკული ინფექციური კერის არსებობასთან. ნეფრიტის კავშირი ამინდთან, სეზონთან და კლიმატთან უძველესი დროიდან იყო აღნიშნული. ორგანიზმის გაგრილება წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს სტრეპტოკოკური ინფექციით დასუსტებული ორგანიზმისათვის.

ნეფრიტი, ჩვეულებრივ, ინფექციური დაავადებების მიმდინარეობის პერიოდში კი არ ვითარდება, არამედ 1-3 კვირის შემდეგ.

მწვავე დიფუზური ნეფრიტი ხასიათდება მისთვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნების სწრაფი, ზოგჯერ მძაფრი განვითარებით. შარდში სისხლისა და ცილის გამოჩენა, დღე-ღამის შარდის რაოდენობის შესამჩნევი შემცირება, არტერიული სისხლის წნევის მომატება და შეშუპება—აი, ის კლინიკური ნიშნები, რომელთა კომპლექსი წარმოადგენს მწვავე ნეფრიტის ტიპიურ კლინიკურ სურათს. ზოგ შემთხვევაში, ყველა ზემოაღნიშნული კლინიკური ნიშანი კარგად არის გამოხატული, ზოგჯერ—ცალკეული ნიშანი წარმავალია, ან სრულებით არ ვითარდება. დაბოლოს, ზოგ შემთხვევაში კლინიკური ნიშნების გამოხატულება იმდენად უმნიშვნელოა, წაშლილია, რომ არ იპყრობს ყურადღებას და მწვავე ნეფრიტი შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძლება შემთხვევით, შარდის გასინჯვით გამოვლინდეს.

დაავადების დაწყება ტიპიურ შემთხვევებში მწვავეა. რამდენიმე საათში ვითარდება კლინიკური ნიშნები. ზოგჯერ აღინიშნება წინამორბედი ნიშნები, რომელთა შეფასება დროულად არ ხერხდება. ბავშვები დაავადების დასაწყისში უჩივიან საერთო მოდუნებას, დამტვრეულობას, თავის ტკივილს, ტკივილს წელის არეში, არაიშვიათად — სუნთქვის გახშირებას. თავის ტკივილი ზოგჯერ შეუპოვარ და ძლიერ შემაწუხებელ ხასიათს იღებს. შესამჩნევი ხდება შეშუპების განვითარება სახეზე, კიდურებზე, წელის არეში, იცვლება შარდის ფერიც (შეშუპება საკმაოდ ხშირად აღინიშნება, მაგრამ მისი არსებობა სავალდებულო არ არის).

მწვავე დიფუზურ ნეფრიტს თან ახლავს სისხლის მიმოქცევის აშლილობაც. გულსისხლძარღვთა სისტემის აშლილობის სიმძიმე ღრმავდება დაავადების არადროული ამოცნობისა და მკურნალობის დაგვიანების გამო.

მწვავე ნეფრიტის დროს შეიძლება განვითარდეს უეცარი შეტევა, რომელიც წააგავს ეპილეფსიურ გულყრას და კრუნჩხვებით გამოიხატება. ამ, ე. წ. რენული ეკლამფსიის განვითარებაში მონაწილეობას იღებს წყალ-მარილოვანი და სისხლის მიმოქცევის რეგულაციის მოშლა, ნერვულ-ენდოკრინული რგოლის ჩართვით (რასაც ადგილი აქვს საერთოდ მწვავე ნეფრიტის დროს).

მიუხედავად კლინიკური მრავალფეროვნებისა, ნეფრიტის დიაგნოსტიკაში მთავარი მნიშვნელობა შარდში განვითარებულ ცვლილებებს — სისხლის (ერითროციტების), ცილისა და ცილინდრების არსებობას უნდა მიეწეროს. მაგრამ მკურნალობა რომ სწორად წარიმართოს, არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ მხოლოდ შარდის გამოკვლევით, პერიოდულად უნდა შემოწმდეს თირკმლების ფუნქციური მდგომარეობა. ეს კი აუცილებლად მოითხოვს ავადმყოფის სტაციონარში მოთავსებას.

მწვავე ნეფრიტის პროგნოზი (შედეგი) სერიოზულია, რადგან ძნელია ითქვას, თუ ავადმყოფობა როგორ მიმდინარეობას მიიღებს. ზოგჯერ მწვავედ მიმდინარე ნეფრიტი რამდენიმე კვირის ან თვის შემდეგ სრული განკურნებით მთავრდება — სისხლის წნევა განიცდის ნორმალიზებას, შარდში ქრება ცილა და სისხლი და ავადმყოფი იწყებს გამოკეთებას. ზოგჯერ კი ეს მოვლენები, მიუხედავად მნიშვნელოვანი შემცირებისა, იღებს მყარ ხასიათს და ნეფრიტი ქრონიკულ ფორმაში გადადის.

ქრონიკული ნეფრიტის კლინიკური სურათი მეტად მრავალფეროვანია: ზოგჯერ კლინიკურ სურათში ჭარბობს შეშუპება და შარდში ცილა, ზოგ შემთხვევაში დაავადება ჰიპერტონიით მიმდინარეობს, ზოგჯერ კი თითქმის უსიმპტომოდ. ქრონიკული ნეფრიტის ამ უკანასკნელ ფორმას ცალკეულ შემთხვევაში ნეფრიტისათვის დამახასიათებელი ნიშნები არა აქვს, უმნიშვნელოა ცვლილებები შარდშიც, მისი შემდგომი მიმდინარეობა ისევე შეუმჩნეველია, როგორც დასაწყისი, მაგრამ, ადრე თუ გვიან, ავადმყოფობა მიდის მის საბოლოო სტადიამდე და, თითქოს „მოულოდნელად", მჟღავნდება თირკმელის უკმარისობის ნიშნები. იგივე შეიძლება ითქვას მწვავე ნეფრიტის შემდგომ პერიოდზე, რომელიც „უმნიშვნელო" დეფექტით მიმდინარეობს და ხშირად ასეთ შემთხვევებში ავადმყოფი თირკმლის ფუნქციების მნიშვნელოვანი აშლილობის მატარებელია; ეს უკანასკნელი ნეფრიტის პროგრესულ მიმდინარეობაზე მეტყველებს.

ზემოხსენებული ცნობებიდან აშკარა ხდება, რომ ნეფრიტით დაავადებული ბავშვები მოითხოვენ დიდ ყურადღებას, მკურნალობისადმი გონიერ მიდგომას, ექიმის დანიშნულების ზუსტად ჩატარებას.

მწვავე ნეფრიტის დროს წოლითი რეჟიმი და მისი დროული გამოყენება კეთილსაიმედო გავლენას ახდენს არა მარტო შედეგზე, არამედ დაავადების მიმდინარეობის ხანგრძლიობაზე. უნდა შევნიშნოთ, რომ წოლითი რეჟიმის ხანგრძლიობა მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დაკვირვებით უნდა შეფასდეს.

ნეფროპათიის მკურნალობაში რაციონალური დიეტის აუცილებლობამ დიდი ხანია მიიღო საერთო აღიარება. სრულფასოვანი საკვების მიწოდებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მზარდი ორგანიზმისათვის, რის გამოც დაუშვებელია ხანგრძლივად ცალმხრივი საკვებით გამოწვეული ნაწილობრივი შიმშილი, რომელიც სრულ შიმშილში გადადის, რადგან ერთფეროვანი საკვები ზიზღს იწვევს ბავშვებში და ისინი სავსებით კრძალავენ საკვების მიღებას.

მწვავე ნეფრიტის ნარჩენი მოვლენები მოითხოვს გარკვეულ მკურნალობას — ინფექციური კერების (ქრონიკული ტონზილიტი, სინუსიტები, კარიესული კბილები და სხვა) აუცილებელ და დროულ მკურნალობას, სანაციას, ხელსაყრელი გარემო პირობების შექმნას, კლიმატურ მკურნალობას, ავადმყოფის ინფექციებიდან დაცვას, ფიზიკური კულტურის გამოყენებას და, ყოველ საჭირო შემთხვევაში, აქტიურ თერაპიულ ჩარევას.

ქრონიკული ნეფრიტით დაავადებული ბავშვის როგორც დღის, ისე კვების რეჟიმი თითქმის არ განსხვავდება ჯანმრთელი ბავშვის რეჟიმისაგან. რასაკვირველია, მხედველობაში არა გვაქვს გამწვავების შემთხვევები, როდესაც ავადმყოფი სტაციონარში უნდა მოთავსდეს და ჩაუტარდეს აქტიური მკურნალობა, მსგავსად მწვავე ნეფრიტისა, წოლითი და დიეტური რეჟიმის გატარებით, საჭირო შემთხვევებში საგულე, წნევის დამწევი, შარდმდენი საშუალებების, ჰორმონოპრეპარატებისა და ანტიბიოტიკების გამოყენებით.

პროფესორი **მერი გელოვანი**

# რჩევები

თუ საცობი დიდია და ბოთლის პირს არ ეცობა, წუთით მდუღარე წყალში ჩაუშვით.

* * *

მშრალ ადგილას შენახული საპონი სამჯერ მეტად გამძლეა.

* * *

ფეხსაცმლის ძირებში წყალი რომ არ შევიდეს, ნაკერებზე რამდენჯერმე გადაუსვით სელის ან სასაქმებელი ზეთი, ანდა სანთლისა და ქონის თანაბარი ნარევი.

* * *

თეთრი ფეხსაცმელი კარგად იწმინდება აუდუღარი რძით.

* * *

თუ ფეხსაცმლის ძირებზე რამდენიმე წვეთ საჭმლის ზეთს წაუსვამთ და ისე გააშრობთ, ფეხსაცმელი აღარ იჭრიალებს.

* * *

ბენზინში დასველებული ტილო ფეხსაცმელს ობს მოაცილებს.

* * *

ფეხსაცმლის ასაპრიალებელი გამხმარი კრემი დარბილდება, თუ რამდენიმე წვეთ თბილ სკიპიდარს ჩაუმატებთ.

* * *

თუ წყალში რამდენიმე წვეთ ნიშადურის სპირტს ჩაუმატებთ, ალუმინის ქვაბები გასუფთავდება და კრიალს დაიწყებს.

* * *

კაპრონის წინდები რომ უფრო გამძლე იყოს, ჩაცმამდე ცოტახნით მოათავსეთ მდუღარე წყალში და გააშრეთ.

* * *

მარილი რომ მშრალი იყოს, სამარილეში ჩაუმატეთ 2-3 მარცვალი ბრინჯი. ბრინჯის მარცვლები ნესტს ამოაშრობს.

* * *

მჟავე ხილის კომპოტი ბევრ შაქარს მოითხოვს, დაუმატეთ ნამცეცი მარილი და სიმჟავიანობას ნაკლებად შეიგრძნობთ.

ИНДЕКС 76178

ც. 8/100

